
**ნახაოტიხაზის მომხმარებელთა ხაზისტხანის
სისტემა და შამდომი ჯონსხოლი
საქსთვადოში**

დავით ოთიაშვილი, ნინო ბალანჩივაძე

სახიჯი

რეზიუმე	4
ნარკოტიკულ საშუალებათა მომხმარებლების და ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეგისტრაცია 2005 წლამდე	5
ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტის დადგენა	5
კანონის ენით	5
რეალური ვითარება	9
ნარკოტიკების მომხმარებელთა და ნარკომანიით დაავადებულ პირთა აღრიცხვაზე ყოფნის თავისებურებანი	12
კანონის ენით	12
რეალური ვითარება	13
მკურნალობის ანონიმურობა და სახელმწიფო წესები კონფიდენციალობის დარღვევის შემთხვევებში	14
რეგისტრაცია და მკურნალობა	14
სამსახურეობრივი შეზღუდვები	15
უახლოესი საკანონმდებლო ცვლილებები	16
დასკენა	16
რეკომენდაციები	17
ბიბლიოგრაფია	18
დანართი 1 – საქართველოს კანონი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ	19
დანართი 2 – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი	20
დანართი 3 – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი	20
დანართი 4 – საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ	21
დანართი 5 - საქართველოს შრომის კოდექსი	21
დანართი 6 - საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ	21
დანართი 7 - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 317/6 ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელთა შემოწმების, გამოკვლევის, ექსპერტიზის, დიაგნოსტიკის, დისპანსერიზაციის, აღრიცხვიანობისა და მკურნალობის წესების დამტკიცების შესახებ	22
დანართი 8 - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ	28
დანართი 9 – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №307/6 ჯანმრთელობის მდგომარეობის სავალდებულო პერიოდული შემოწმების შესახებ	34
დანართი 10 - საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ	35
დანართი 11 - საქართველოს კანონი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ	35



ნარკოტიკების მომხმარებელთა და ნარკომანიით დაავადებულთა რეგისტრაციის სისტემა შექმნის დღიდან, კერძოდ 1970იანი წლებიდან ემსახურებოდა სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის ამ ნაწილის კონტროლს. 2004-2007 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო და შიდასაუწყებო რეფორმების შედეგად შეიქმნა სიტუაცია, როდესაც კანონის ფორმალური მოთხოვნები და არსებული პრაქტიკა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. დღეისათვის ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა რეგისტრაციამ დაკარგა ის მცირედი საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის სასარგებლო დატვირთვა, რომელიც მას ადრე ფორმალურად ეკისრებოდა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სრულ კონტროლს დაეკუთვნებოდა. 2006 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ტესტირებისა და რეგისტრაციის სისტემაში ინიცირებული ცვლილებების შედეგად მოხდა ამ სფეროში მთელი ძალაუფლების მათ ხელში კონსოლიდაცია. რეფორმას თან მოჰყვა საკანონმდებლო ცვლილებები. კერძოდ, მოხდა ადმინისტრაციული ჯარიმის მკვეთრი გაზრდა, რასაც მოჰყვა ნარკოლოგიური ტესტირების ფუნქციის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფისათვის გადაცემა. მას, სავარაუდოდ, თან ახლდა საპატრულო პოლიციის პირადი შემადგენლობის ზეპირი ინსტრუქტაჟი და დავალება გაეაქტიურებინათ ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ განხორციელებული ზომები. შედეგად მივიღეთ ნარკოლოგიურ ტესტირებაზე მიყვანილ ადამიანთა არნახული ზრდა – 22,755 ადამიანი აიძულეს გაეგლო შემოწმება ჯარიმის გაზრდის შემდგომ შვიდი თვის განმავლობაში¹. შედარებისთვის ვიტყვით, რომ 1985-დან 2005 წლამდე პერიოდში ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში სულ აღრიცხვაზე დაყენებული იქნა 24,000 ადამიანი².

იმ დროს როდესაც ნარკოლოგიური მკურნალობა ძვირია და შეზღუდული, მოსახლეობის იძულებითი ნარკოლოგიური შემოწმება და ნარკოტიკების მომხმარებელთათვის გარკვეული უფლებების ჩამორთმევა არის სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის ძირითადი მოქმედი ინსტრუმენტი საქართველოში. პირებს, რომლებსაც დაუდგინდებათ ნარკოტიკების მოხმარების ფაქტი არამარტო დიდი ჯარიმები ეკისრებათ, არამედ გარკვეული უფლებებიც ეზღუდებათ, მათ შორის გარკვეული პროფესიული საქმიანობის უფლება, ავტომანქანის მართვის უფლება, არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობის მიღების უფლება (პასიური საარჩევნო უფლება) და სხვა.

აღნიშნული ანგარიში იკვლევს საქართველოში არსებულ რეგისტრაციის სისტემას და აფასებს მის, როგორც სახელმწიფო ანტინარკოტიკული ომის ნაწილის, ზეგავლენას იმ ადამიანების ჯანმრთელობასა და უფლებებზე, რომლებიც მოიხმარენ ნარკოტიკულ საშუალებებს.

¹ წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაცია (წერილი №7/2 - 1576 17.04.2007)
² Gamkrelidze A., et al. 2005

ნახოშიჯი საშაიჯაბი მოხაიჯაბის და ნახომანიოთ დააჯაბიჯი ჰიოთი ხაბისხაიჯი 2005 წაბა

ნარკოტიკული საშაიჯაბების მოხმარებელთა და ნარკომანიოთ დააჯაბიჯულთა რეგისტრაციის წესები ორი ძირითადი საკანონმდებლო აქტიოთ რეგულირდება. ეს არის “ნარჩო კანონი” (კანონი “ნარკოტიკული საშაიჯაბების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ”) [დანართი 1] და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №317/6 ბრძანება “ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებელთა შემოწმების, გამოკვლევის, ექსპერტიზის, დიაგნოსტიკის, დისპანსერიზაციის³, აღრიცხვიანობისა და მკურნალობის წესების დამტკიცების შესახებ” [დანართი 7]. ამ კანონების შესაბამისად, პირი რომელსაც კანონით გათვალისწინებული წესით დაუდგინდება ნარკოტიკული საშაიჯაბების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მიღების ფაქტი აყვანილი უნდა იქნას აღრიცხვაზე ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში (რომელიც საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია), ისევე, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ადრეული ოთხმოციანი წლებიდან ნარკომანიოთ დააჯაბიჯულთა და ნარკოტიკების მოხმარებელთა აღრიცხვა ხდებოდა ნარკოლოგიის ჰოსპიტალში, ხოლო 1993 წლიდან ნარკოლოგიის კვლევით ინსტიტუტში. ისინი პოლიციის დავალებით ატარებდნენ გამოკვლევას და ამის შემდეგ აღრიცხვაზე აყვავდათ პირები. მთელი ინფორმაცია ინახებოდა ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში (რომელზეც პასუხისმგებელი სწორედ ნარკოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი იყო) და ასევე იგზავნებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ცენტრალური საინფორმაციო ბანკი მოიცავდა საქართველოს მასშტაბით მთელ ინფორმაციას ნარკოტიკების მოხმარებლებისა და ნარკომანიოთ დააჯაბიჯულ პირთა შესახებ.

2005 წლის მაისიდან, ნარკოლოგიის კვლევითმა ინსტიტუტმა და მისმა რეგიონულმა ცენტრებმა შეწყვიტეს აღნიშნული გამოკვლევების ჩატარება, რადგანაც ამ დროიდან ის დაექვემდებარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ხოლო 2006 წლის ნოემბრიდან კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა შეწყვიტეს ცენტრალური საინფორმაციო ბანკისთვის ინფორმაციის მიწოდება, რის შედეგადაც მან დაკარგა თავისი ფუნქცია და მოიცავს “გაყინულ” მონაცემებს 2005 წლის მაისამდე. შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსპერტ-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს, რომელიც დღესდღეობით ატარებს პოლიციის დავალებით გამოკვლევებს, თავისი აღრიცხვის სისტემა გააჩნია, რომელიც არანაირ კავშირში არ არის ცენტრალურ საინფორმაციო ბანკთან.

ნახოშიჯი საშაიჯაბის მოხაიჯაბის ფაიხის დაბა

კანონის ენით

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45 მუხლის შესაბამისად, საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, რომ პირი იმყოფება ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ან/და მას მიღებული აქვს ნარკოტიკული საშაიჯაბა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელს უფლება აქვს პირს მოსთხოვოს გაიაროს შემოწმება აღნიშნული ნივთიერების მიღების ფაქტის ან სიმთვრალის დასადგენად. “ერთობლივი” (შინაგან საქმეთა მინისტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის) ბრძანების შესაბამისად, პოლიციის თანამშრომელი უფლებამოსილია პირს ადგილზე შემოწმების მიზნით ჩაუტაროს ტესტირება, ნერწყვში ნარკოტიკული საშაიჯაბის აღმოჩენი იმუნოქრომტესტით⁴ [დანართი 8]. თუ, ადგილზე შემოწმების გზით დადგინდა პირის მიერ ნარკოტიკული საშაიჯაბის მოხმარების ფაქტის, გადაყვანილი იქნება დამატებით ლაბორატორიული გამოკვლევისათვის. კლინიკურ-ლაბორატორიული ან/და ლაბორატორიული გამოკვლევა

³ ადამიანის სამედიცინო მკურნალობა და მეთვალყურეობა (მეთვალყურეობის ტიპი და პერიოდი) დამოკიდებულია დიაგნოზზე

⁴ ორგანიზმში ნარკოტიკული საშაიჯაბის შემცველობის დამდგენი სპეციალური ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება ექსპრეს-ტესტების უმრავლესობაში

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ან ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული სიმთვრალის ფაქტის დადგენის მიზნით წარმოებს გამოსაკვლევი პირის წარმომდგენი მხარის (პოლიციის მუშაკის) ოფიციალური მომართვის ან ადგილზე შემოწმების ბარათის⁵ საფუძველზე. ნარკოტიკული თრობის მდგომარეობის დასადგენად ყველა წარმოდგენილ გამოსაკვლევე პირს უნდა ჩაუტარდეს კლინიკური და ქიმიო-ტოქსიკოლოგიური გამოკვლევა. ნარკოტიკული თრობის მდგომარეობის დადგენის წარმოების დროს ექიმი ავსებს ავადმყოფის ამბულატორიულ ისტორიას, რომელშიც დაწვრილებით უნდა აღიწეროს გამოსაკვლევი პირის საპასპორტო მონაცემები, სოციალური სტატუსი, გამოკვლევის ჩატარების თარიღი და ზუსტი დრო, პიროვნების დაკავებიდან გამოკვლევაზე წარმოდგენამდე გასული დრო, ოპერატიული მონაცემები. რაც შეეხება ანამნეზურ მონაცემებს, ისინი თვითონვე პიროვნებისგან მიიღება, კერძოდ: ღებულობს თუ არა ნარკოტიკებს, რომელი ჯგუფის ან რომელ საშუალებას, რა სიხშირით, რა ხერხით, გადატანილი აქვს თუ არა აღკვეთის მდგომარეობა და ა.შ. უნდა აღიწეროს გამოსაკვლევი პირის გარეგნობა, ფიზიკური, ნევროლოგიური და ფსიქიკური სტატუსი, პოსტინექციური კვალის ან ნაწიბურების არსებობა. სრული კლინიკური გამოკვლევის შემდეგ ექიმს გამოაქვს სათანადო დასკვნა:

- ა) კლინიკურად იმყოფება ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ;
- ბ) კლინიკურად არ იმყოფება ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ;

გამოსაკვლევე პირს ექიმი კლინიკური შემოწმების შემდეგ სათანადო მომართვით აგზავნის ქიმიო-ტოქსიკოლოგიურ ლაბორატორიაში. მომართვაში მითითებული უნდა იყოს ბიოლოგიურ მასალაში ან სისხლში საკვლევე საშუალებათა ჯგუფი ან სახეობა. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოსაკვლევი პირისაგან ამა თუ იმ მიზეზით ვერ ხერხდება საკვლევი ბიოლოგიური მასალის აღება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (ერთი, ერთნახევარი საათი), სამედიცინო ბარათში ექიმის მიერ ფიქსირდება აღნიშნული მდგომარეობის მიზეზი და მოტივი.

ქიმიო-ტოქსიკოლოგიური თრობის მდგომარეობის დადგენას აწარმოებს ყველა სამედიცინო დაწესებულება, რომელთაც აქვთ ნარკოტიკული თრობის მდგომარეობის დადგენის უფლება და იგი ხორციელდება სამ დონეზე:

I დონე – კლინიკური შემოწმების გარდა გამოსაკვლევი პირისაგან აღებულ ბიოლოგიურ მასალაში (შარდი) ნარკოტიკული ან სხვა გამაბრუებელი საშუალებების შემცველობის განსაზღვრა ხდება ექსპრეს-ტესტებით ან თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდით. ბიოლოგიური მასალა იღუქება ორ ულუფად და ინახება მაცივარში სათანადო წესების დაცვით თოთხმეტი, შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში კი, ოცდაათი დღის განმავლობაში. გამოკვლევის შედეგი გამოსაკვლევე პირსა და წარმომდგენს ეცნობება შემოწმებისთანავე. კლინიკური გამოკვლევისა და ლაბორატორიული ანალიზის (ერთჯერადი სადიაგნოსტიკო ექსპრეს-ტესტი) ჩატარების შედეგად ექიმი მოვალეა დაუყოვნებლივ გასცეს სათანადო დასკვნა. რომელიმე მხარის (პოლიციის მუშაკის ან გამოკვლეული პირის) მიერ გაცხადებული პროტესტის შემთხვევაში, ქიმიო-ტოქსიკოლოგიური ანალიზი ტარდება მეორე და მესამე დონეებზე.

II დონე – ხორციელდება უფრო მაღალი მგრძნობელობის მეთოდებით და ხდება საანალიზო მასალის საკონტროლო ულუფის დამატებით ქიმიო-ტოქსიკოლოგიურ კვლევაზე გაგზავნა.

III დონე – საანალიზო მასალის (შარდის) კვლევა ტარდება ქიმიო-ტოქსიკოლოგიურ ლაბორატორიაში I და II დონით გათვალისწინებული მეთოდებითა და აგრეთვე დამატებითი უფრო მგრძნობიარე მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით.

კლინიკურ-ლაბორატორიული ან/და ლაბორატორიული კვლევის შედეგი ფიქსირდება შემოწმების ცნობაში [დანართი 8, ფორმა 2] შემდეგი სახით:

- ა) გამოკვლევით დადგინდა ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი (ჯგუფის მითითებით);
- ბ) გამოკვლევით ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი არ დადგინდა.

⁵ ადგილზე შემოწმების ბარათი ივსება ადგილზე შემოწმების დროს. ნიმუში იხილეთ ერთობლივი ბრძანების დანართი №1 ში.


ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით მომხმარებელთა გამოვლენის შემთხვევაში ივსება შესაბამისი ფორმა სამ ეგზემპლარად, რომელიც შეიცავს პირის პირად ან საპასპორტო მონაცემებს. ერთი ეგზემპლარი ინახება გამომვლენ სამედიცინო დაწესებულებაში, მეორე ეგზემპლარი იგზავნება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში, ხოლო მესამე ეგზემპლარი – შინაგან საქმეთა სამინისტროში, კერძოდ, ინფორმატიზაციის სამმართველოში⁶.

პირის პირადი განცხადების საფუძველზე ნარკოტიკული თრობის მდგომარეობის დადგენა წარმოებს კლინიკური გამოკვლევის და ქიმიო-ტოქსიკოლოგიური ანალიზით [დანართი 7]. იგულისხმება ძირითადად შემთხვევები, როდესაც მშობლებს მოჰყავთ შვილები ნარკოტიკების მოხმარების ეჭვის არსებობისას. ასეთ შემთხვევებში, ინფორმაცია კონფიდენციალურია, და მონაცემების გადაცემა შინაგან საქმეთა სამინისტროში ან ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არ ხდება. საქართველოში არ არსებობს რეგულაცია, რომელიც სამედიცინო დაწესებულებას მოსთხოვდა ნარკოტიკების მოხმარების ფაქტის აღმოჩენისას მიაწოდონ ინფორმაცია სამართალდამცავ ორგანოებს. შესაბამისად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურიდან, საავადმყოფოების მიმღები განყოფილებებიდან, შიდსის ცენტრიდან თუ სხვა დაწესებულებებიდან ასეთი ინფორმაცია არსად არ იგზავნება.

ბოლო ხელმისაწვდომი ინფორმაციით, ნარკოლოგიის ინსტიტუტის ცენტრალურ საინფორმაციო ბაზაში 2004 წლის ბოლოსთვის 24,000 ადამიანი იყო რეგისტრირებული. აქედან 14,400 პირი რეგისტრირებული იყო, როგორც ინექციური ოპიოიდების მომხმარებელი⁷.

დიაგრამა 1

რეგისტრირებულ წამალდამოკიდებულთა ბანაწილება წლების მიხედვით



Gamkrelidze A., et al 2005

2004 წელს დარეგისტრირებულთა უმეტეს ნაწილს მარიჰუანას და ოპიოიდების მოხმარებლები შეადგენდნენ (43% და 40% შესაბამისად). ოპიოიდებზე დამოკიდებულთა წილი კი 16% შეადგენს [დიაგრამა 2]. 2004 წლისთვის ოპიოიდების რეგისტრირებულ მომხმარებელთა და დამოკიდებულთა ჯამი 14,400 შეადგენდა. SCAD (South Caucasian Anti-Drug Program) წლიური ანგარიში ამ პირებს (ოპიოიდების მომხმარებლებს და დამოკიდებულებს) მოიხსენიებს, როგორც "ნარკოტიკების პრობლემურ მომხმარებლებს", რაც შეესაბამება EMCDDA-ის დეფინიციას და გულისხმობს – ან ინექციური ნარკოტიკების მოხმარებას, ან ოპიოიდების, კოკაინის ან ამფეტამინების გრძელვადიან/რეგულარულ მოხმარებას. კოკაინი ან ამფეტამინები საქართველოში არ არის მოხმარებაში,


⁶ მინისტრის ბრძანებაში არ იქნა შეტანილი ცვლილებები, რათა აეხსახა რეგისტრაციის სისტემის ახალი პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, მართალია ის კანონიერია და კვლავ ძალაშია მაგრამ აღწერილი პროცედურა აღარ გამოიყენება

⁷ Gamkrelidze A., et al 2005

გარდა კუსტარული ამფეტამინის ტიპის ნარკოტიკების იშვიათი მოხმარებისა, შესაბამისად, საქართველოსთვის, ოპიოიდების ინექციური მოხმარებლები, შეიძლება გათვალისწინებული იყვნენ “ნარკოტიკების პრობლემური მოხმარების” ცნებაში⁸.

დიაგრამა 2

2004 წელს რეგისტრირებულ პირთა ბანაწილება მოხმარებული ნარკოტიკების მიხედვით




Gamkrelidze A., et al 2005

თუმცა, საექვო რეგისტრირებულ პირთა შორის სხვადასხვა ნარკოტიკის მოხმარების განაწილება რეალურ სურათს ასახავდეს. მიზანშეწონილია ვივარაუდოთ, რომ ოპიოიდების მოხმარებლები უფრო იოლად ხვდებიან პოლიციის ყურადღების ქვეშ და მათი გამოვლენა უფრო იოლია, ვიდრე სხვა აკრძალული ნივთიერებების მოხმარებლებისა, მაგალითად, მარიჰუანასი. ასევე საექვოა, რომ წლების მიხედვით ახლად რეგისტრირებული შემთხვევების აღრიცხვა ასახავდეს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ტენდენციას საქართველოში (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3

ახლად რეგისტრირებულ შემთხვევებითა ბანაწილება წლების მიხედვით




Gamkrelidze A., et al 2005

ეს მაჩვენებელი შეიძლება მხოლოდ ასახავდეს ყოველ კონკრეტულ ეტაპზე პოლიციის აქტიურობას და დაინტერესებას რეგისტრაციაში გაატარონ ნარკოტიკების მოხმარებლები. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებული მონაცემები მიახლოებით ასახავს ცვლილებებს, რომელიც 1997-2004 წლების მანძილზე მოხმარებულ ოპიოიდებთან დაკავშირებით მოხდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ორი დამახასიათებელი ნიშანი. პირველი ეს არის 1990-ნი წლების ბოლოსათვის კეროინის მოხმარების მკვეთრი ზრდა. და მეორე, პრეპარატ სუბუტექსის (ბუპრენორფინი) ინექციური მოხმარების მზარდი ტენდენცია.

⁸ Gamkrelidze A., et al 2005

ახლადღარმბისტრირებული პირთა მიერ გამოყენებული ოპიატების ტიპები



Gamkrelidze A., et al 2005

ქვეყანაში ნარკოტიკების მოხმარებელთა რეალური რიცხვის დასადგენად, დარგის ზოგი სპეციალისტი რეგისტრირებულ პირთა რაოდენობას გარკვეულ კოეფიციენტზე ამრავლებს, კერძოდ 8-ზე ან 10-ზე. ასეთი გამოთვლით ღებულობენ 200,000 – 240,000, როგორც ქვეყანაში ნარკოტიკების მოხმარებელთა რაოდენობას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდის მეცნიერული საფუძველი არ აქვს და ნარკოტიკების მოხმარების პრევალენტობა რეალურად საქართველოში უცნობია.

რეალური ვითარება


როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აღარ ახდენს ნარკოლოგიური შემოწმებების ჩატარებას 2005 წლის მაისიდან, ვინაიდან ეს ფუნქცია გადაეცა იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს, ხოლო ეხლა შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს დაქვემდებარებულ განყოფილებას. ინფორმაცია ინახება შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში, რომლისთვისაც ასევე ხელმისაწვდომია ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებული მონაცემები.

2006 წლის აგვისტოში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ინიცირებული იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლში შესატანი ცვლილებები, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით ნარკოტიკების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ისჯება გაზრდილი 500 ლარიანი ჯარიმით (310\$). გარდა ამისა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, 2006 წლის ოქტომბერში საექსპერტო ლაბორატორიის ფუნქცია – ნარკოლოგიური შემოწმება, გადაეცა ამისათვის სპეციალურად შექმნილ დეპარტამენტს შინაგან საქმეთა სამინისტროში. დამატებით, 2006 წლის 27 დეკემბერს “ჩარჩო კანონში” მიღებული ცვლილებების თანახმად, “ნარკომანიით დაავადებულ პირთა, აგრეთვე ფსიქოტროპულ ნივთიერებათა მოხმარებელთა გამოკვლევის, დიაგნოსტიკის, დისპანსერიზაციის, მკურნალობის და რეაბილიტაციის წესებს” შესაბამისი სტანდარტით განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ხოლო “ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარების, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, დადგენის წესი განისაზღვრება შინაგან საქმეთა მინისტრის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით”. ამ ცვლილებების შემოღებას მოჰყვა ტესტირებაზე მიყვანილ პირთა რაოდენობის უპრეცედენტო ზრდა. მას შემდეგ რაც შემოთავაზებულ იქნა მაღალი ჯარიმები, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაზე იძულებით ტესტირებულთა რიცხვი შეიძლება თვის განმავლობაში ათჯერ გაიზარდა ვიდრე ამ ჯარიმების შემოღებამდე. (22,755 2,706-ის წინააღმდეგ)⁹ ამავე წყაროზე დაყრდნობით ირკვევა, რომ 2007 წლის პირველ კვარტალში ტესტირებაზე იძულებით მიყვანილთა მხოლოდ 38% აღმოჩნდა ზემოქმედების ქვეშ, წინა წლის 78%-იან იმავე ინდიკატორთან შედარებით.

⁹ შინაგან საქმეთა სამინისტრო №7/2-901 05.03.2007 და შინაგან საქმეთა სამინისტრო №7/2-1576 17.04.2007

დიაგრამა 5

ჯარიმების ბაზრდამდე და ბაზრის შემდეგ იძულებითი ტესტირების ღირებულება



[სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო]

ამჟამად ინფორმაცია უკანონო ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შესახებ მიეწოდება საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს შიდა გამოყენების მიზნით. ეს კეთდება ინფორმაციის შეგროვებით ყველა სამედიცინო დაწესებულებიდან, რომლებიც ატარებენ იძულებით ნარკოლოგიურ ტესტირებას. პოლიციის აშკარა ინტერესი არის ერთი წლის მანძილზე გამოიყენონ მონაცემები, რათა განმეორებით მოხმარებაზე წაუყენონ პირს ბრალდება სისხლის სამართლის 273-ე მუხლით. ეს მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯარიმის ან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის სახით ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამო, თუ მანამდე, ერთი წლის განმავლობაში, პირს იგივე ქმედების ჩადენისათვის დაკისრებული ჰქონდა ადმინისტრაციული სასჯელი. აღნიშნული მუხლით სასამართლოები თავისუფლების აღკვეთას ძალზე იშვიათად უფარდებენ და 2006 წელს ეს მონაცემი 8 უდრის¹⁰.

საქართველოში ახალი საპატიმროების შენების უპრეცედენტო ტემპიც კი ვერ აკმაყოფილებს საპრობლემების პოპულაციის¹¹ რიცხვის ზრდას და საპატიმროები უკიდურესად გადატვირთულია.

ამის გამო სისხლის სამართლის კოდექსის 273 მუხლით ადამიანების ციხეებში გამწვანება უბრალოდ პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ ბრალდებულთა უმეტესობას სასამართლო ჯარიმის გადახდას აკისრებს და ამ შემთხვევებში ჯარიმის ოდენობა 2000 ლარიდან (\$1230) იწყება. აქედან გამომდინარე პოლიციის თანამშრომლები გაცილებით აქტიურად “დასდევენ” ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებულ ან წინათ დაკავებულ პირებს. მხოლოდ თბილისში 2007 წლის მანძილზე 1755 ასეთი პირი იქნა გასამართლებული.¹²

საჭიროდ ვთვლით გავამახვილოთ ყურადღება მოქალაქეთა იძულებით ნარკოლოგიურ ტესტირებაზე. კანონის თანახმად, ნებისმიერ პოლიციელს შეუძლია მიმართოს ქუჩაში მიმავალ ადამიანს, უთხრას, რომ მისი აზრით (ან ინფორმაციით) პირი იმყოფება ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, და მოსთხოვოს მას წაყვეს შესაბამის დაწესებულებაში შემოწმების გასავლელად. კანონი არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა იგულისხმება “საფუძვლიანი ეჭვის არსებობის” ქვეშ (ოპერატიული ინფორმაცია, პირის არაადექვატური ქცევა, ინტოქსიკაციის გარეგნული ნიშნები თუ სხვა), რაც ძალოვანი ორგანოს წარმომადგენლებს სრულ თავისუფლებას ანიჭებს აღნიშნული ეჭვი ნებისმიერი მოქალაქის მიმართ შეექმნას. **მოქალაქე ვალდებული არის**

¹⁰ წყარო: თბილისის საქალაქო სასამართლო, 2007
¹¹ წყარო: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
¹² წყარო: თბილისის საქალაქო სასამართლო, (წერილი № გ-244-07)

საქართველოს საპატიმრო აღბილავში ბანთაშენებულ
მსჯავრდებულთა რაოდენობა

მსჯავრდებულთა და პატიმართა საერთო წლიური მონაცემები			
წლიური მონაცემები	ქალი	არასრულწლოვანი	სულ
2000წ.	219	98	8349
2001წ.	227	64	7688
2002წ.	180	71	6749
2003წ.	158	79	6274
2004წ.	184	84	6654
2005წ.	283	115	9051
2006წ.	660	324	15464
2007წ.	არ არის ხელმისაწვდომი	305	19744

დაემორჩილოს პოლიციის თანამშრომლის მოთხოვნას და წაჰყვეს მას საექსპერტო დაწესებულებაში¹³. ამავდროულად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირის პასუხისმგებლობას, თუ იგი უარს აცხადებს კლინიკურ და კლინიკო-ლაბორატორიულ შემოწმებაზე. თუმცა, ამ ანგარიშის მომზადების პერიოდში საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მზადდებოდა ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტი, 45-ე მუხლის შენიშვნას დაემატა მესამე პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ: “ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენისას, თუ პირი უარს განაცხადებს გამოკვლევაზე, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი ჩაითვლება დადგენილად.”

ეს ცვლილებები პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 42 მუხლის, მე-8-ე ნაწილთან, რომლის მიხედვითაც “არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით¹⁴. ეს ინიციატივა არის მორიგი ნაბიჯი მომხმარებელთა დემონიზაციისა და ნარკოტიკების მოხმარების მძიმე დანაშაულთან გაიგივების პროცესისა, რომლის მოწმეებიც ჩვენ ბოლო თვეების მანძილზე გავხდით.

¹³ კანონი “პოლიციის შესახებ” მუხლი 9, ნაწილი 1, პუნქტი (დ) – პოლიციას დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესამოწმებლად წარადგინოს პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის შედეგად საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ, შეინახოს მისი ნივთები და დოკუმენტები, რის შესახებაც ადგენს სათანადო ოქმს.

¹⁴ საქართველოს კონსტიტუცია, 1995წ.

ნახოშიჯის მოხმარება და ნახოშიჯით დაზარალებული პირთა აღიარება ყოფნის თანდასაჩინო

კანონის კნით

როგორც უკვე აღნიშნეთ, ნარკომანით დაავადებულთა და ნარკოტიკული საშუალების არასამედიცინო მიზნით მომხმარებელთა გამოვლენის შემთხვევაში ივსება შესაბამისი ფორმა სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება გამოვლენ სამედიცინო დაწესებულებაში, მეორე იგზემპლარი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში, ხოლო მესამე – შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოში. აღნიშნული პროცედურა არის საფუძველი იმისა, რომ პირი აყვანილ იქნეს აღრიცხვაზე. აღრიცხვაზე აყვანიდან 10 დღის შემდეგ გამოსაკვლევი პირი უნდა წარდგეს საქმეში საკონსულტაციო კომისიის წინაშე, რომელსაც, ავადმყოფის ამბულატორიული ისტორიის შესწავლისა და სამედიცინო გამოკვლევის ჩატარების შემდეგ, გამოაქვს შესაბამისი დასკვნა – პირი ნარკომანით არის დაავადებული თუ, უბრალოდ, მომხმარებელია. ამ ფაქტის დადგენას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამაზე დამოკიდებული როგორც აღრიცხვაზე ყოფნის პერიოდი, ასევე ჩასატარებელი მკურნალობის სახე¹⁵ და დისპანსერული ზედამხედველობის ტიპი¹⁶. იმის განსაზღვრა, პირი ნარკომანით არის დაავადებული თუ, უბრალოდ, ნარკოტიკების მომხმარებელია, ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით. კერძოდ, მათი დიფერენცირება ხდება ანამნეზური მონაცემების საფუძველზე, რომელთაც მიეკუთვნება ნარკოტიკული საშუალების მოხმარების სიხშირე, ნარკოტიკული საშუალების სახეობა, აბსტინენციის სინდრომი, ნევროლოგიური მდგომარეობა, რაც სამედიცინო გამოკვლევის შედეგად დგინდება. ძირითადი ფაქტორი, რომლითაც ხელმძღვანელობს კომისია, არის ფიზიკური ან/და ფსიქიკური დამოკიდებულების არსებობა ნარკოტიკული საშუალებებისადმი. ყოველივე ეს დგინდება დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 გადასინჯვის კრიტერიუმების მიხედვით. ნარკომანიის დიაგნოზის დადგენის შემთხვევაში, ავადმყოფი ვალდებულია ჩაიტაროს მკურნალობის სრული მინიმალური კურსი, რომლის საფასურიც მანვე უნდა გადაიხადოს. თუ პირი ნარკოტიკების მომხმარებელია, მკურნალობის კურსის გავლა სავალდებულო არ არის და ეს მის სურვილზე დამოკიდებული.

ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი იმყოფება აღრიცხვაზე 1 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც იხსნება აღრიცხვიდან, როგორც მომხმარებელი ან ნარკომანიის დიაგნოზის დადგენის შემთხვევაში, დგება შესაბამისი აღრიცხვაზე. რაც შეეხება ნარკომანით დაავადებულ პირებს, ისინი აღრიცხვაზე იმყოფებიან 3 წლის განმავლობაში მინიმალური სავალდებულო მკურნალობის კურსის დაწყების დღიდან. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ისინი იხსნებიან აღრიცხვიდან საქმეში-საკონსულტაციო კომისიის მიერ და მათი ბარათები გადაეცემა არქივს. აღრიცხვაზე ყოფნის პერიოდში არანაირი შეზღუდვა არ არსებობს პაციენტთათვის. ისინი თავისუფლად გადაადგილდებიან და ახორციელებენ სხვადასხვა ქმედებებს. ადრე, აღრიცხვაზე ყოფნის დროს, გათვალისწინებული იყო “პრევენციული მეთვალყურეობა”, პირი თვეში ერთხელ უნდა გამოცხადებულიყო სამედიცინო დაწესებულებაში შემოწმებაზე. თუმცა დაახლოებით 1990-იანი წლებიდან ეს პრაქტიკა აღარ მოქმედებს¹⁷. იმისათვის, რომ პირი მოიხსნას აღრიცხვიდან, საჭიროა პაციენტმა განცხადებით მიმართოს საქმეში საკონსულტაციო კომისიას აღრიცხვიდან მოხსნის თაობაზე. ამ კომისიას თავმჯდომარეობს დაწესებულების დირექტორი (საქართველოს შემთხვევაში – ნარკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი), ასევე მასში შედიან დაწესებულების მთავარი ექიმი და სხვა სპეციალისტები (ფსიქოლოგები, ნევროპათოლოგები, ნარკოლოგები და ა. შ). კომისია 5 დღის განმავლობაში ატარებს დინამიურ გამოკვლევას¹⁸ და გამოკვლევების დამაყოფილებელი პასუხების შემთხვევაში, ასევე მისი სამედიცინო ბარათის შესწავლის

¹⁵ ძირითადად ამბულატორიული ან სტაციონალური დეტოქსიკაცია კლონიდინისა და დამამშვიდებლების გამოყენებით

¹⁶ პირი ვალდებულია თვეში ერთხელ მივიდეს ექიმთან და ტესტირებისთვის ჩააბაროს შარდი

¹⁷ წყარო: ექ. ირინა ამნიაშვილი - ნარკოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პირადი კომუნიკაციები

¹⁸ პირი მიდის დაწესებულებაში ყოველ დღე რამდენიმე საათით. მას უტარდება ტესტირება და გამოკვლევა სხვადასხვა ექიმ-სპეციალისტების მიერ

საფუძველზე – ის იხსნება აღრიცხვიდან. აღწერილი პროცედურების საფასურს, 200 ლარს (\$125), პირი თავად იხდის. აღრიცხვაზე ყოფნის პერიოდი მკაცრად არის განსაზღვრული. როგორც ვთქვით, 1 წელი – ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელთათვის და 3 წელი – ნარკომანიით დაავადებულთათვის. ამ პერიოდის შემცირება აკრძალულია, თუმცა, შესაძლებელია გაზრდა. (ეს შესაძლებელია, როდესაც პირი აგრძელებს ნარკოტიკების მოხმარებას და ის მომხმარებლის სტატუსიდან გადაიყვანება ნარკომანიით დაავადებულის სტატუსში). იმ შემთხვევაში, თუ პირი არ განაცხადებს აღრიცხვიდან მოხსნის შესახებ, ან არ გამოცხადდება აღრიცხვის ვადის გასვლის შემდეგ სამედიცინო კომისიის წინაშე, იგი განუსაზღვრელი ვადით რჩება აღრიცხვაზე.

რეალური ვითარება

ნარკოტიკების მომხმარებელთა და ნარკომანიით დაავადებულთა რეგისტრაციის სისტემა დიდი ხნის განმავლობაში ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა კორუფციული გარიგებებისათვის. ნარკოტიკების მიღების ფაქტის დადგენის შემთხვევაში პოლიციის მიერ ხდებოდა მომხმარებლებისაგან ფულის გამოძალვა იმის სანაცვლოდ, რომ პიროვნების მონაცემები არ იქნებოდა შეტანილი ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში, და შესაბამისად, არც შინაგან საქმეთა სამინისტროში. ითვლებოდა რომ აღრიცხვაზე აყენებდნენ მხოლოდ იმ პირებს, ვინც ვერ ახერხებდა პოლიციისათვის ქრთამის გადახდას. ეს მანკიერი პრაქტიკა 2003 წლამდე გრძელდებოდა და მხოლოდ შევარდნაძის რეჟიმის¹⁹ დამსობის შემდეგ შეწყდა.

დღეისათვის ნარკოტიკების მომხმარებელთა და ნარკომანიით დაავადებულთა აღრიცხვის სისტემა მნიშვნელობას იძენს მხოლოდ პოლიციის ოპერატიული ჩანაწერების თვალსაზრისით. 2005 წლამდე ნარკომანიით დაავადებულ პირთა შესახებ ინფორმაცია მთელი საქართველოს მასშტაბით იგზავნებოდა ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში, ისევე, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში, კერძოდ, ინფორმაციის სამმართველოში. თვითონ სამედიცინო დაწესებულებებიც ახდენდნენ პაციენტთა გარკვეულ აღრიცხვას, ხოლო ცენტრალურ საინფორმაციო ბანკს აწვდიდნენ მხოლოდ რაოდენობრივ და სამედიცინო (დიაგნოსტიკურ) ინფორმაციას, პიროვნების პირადი მონაცემების გარეშე. ამ სახელმწიფო უწყებებს შორის მუდმივად ხდებოდა ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, თუმცა ამჟამად, როდესაც ნარკოლოგიური ექსპერტიზა ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს და პირთა გამოკვლევა ხდება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა და შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს შესაბამის განყოფილებაში, ინფორმაციის მიწოდება მკაცრად კონტროლდება. შსს აკონტროლებს მთელ ინფორმაციას და, ფაქტიურად, სტატისტიკურ მონაცემებში, უბრალოდ, ხდება პირთა გამოკვლევაზე წარდგენის ფაქტის აღრიცხვა.

დღეს, როდესაც პირს სჭირდება სამედიცინო-ნარკოლოგიური ცნობა საჯარო სამსახურში საბუთების შესატანად ან ცეცხლსასროლი ან სანადირო იარაღის შესაძენად, ნარკოლოგიის ინსტიტუტი და მისი რეგიონალური ოფისები უტარებს ამ პირს კლინიკო-ლაბორატორიულ შემოწმებას და აგრეთვე ამოწმებს, იმყოფებოდა თუ არა პირი აღრიცხვაზე ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში 2005 წლის მაისის “გაყინული” მონაცემებით. აღნიშნული ცნობის აღება ფასიანია და მისი საფასური 10 ლარს (\$6) შეადგენს.

¹⁹ ხელისუფლების მხრიდან 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბების მცდელობას, მოჰყვა მასობრივი საპროტესტო აქციები, რომლის შედეგად პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გადადგა თანამდებობიდან (საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი 1973-1985 და საქართველოს პრეზიდენტი 1995-2003 წლამდე). მისი პრეზიდენტობის პერიოდში ქვეყანაში კორუფცია და მექრთამეობა მძვინვარებდა

მეხანძრობის ანონიმუზა და სახანძრო წესები ანონიმუზის დახმავის შიშით

საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის უფლებას შესაბამისად საქართველოს კანონისა “საექიმო საქმიანობის შესახებ”, რაც ასევე განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით. კერძოდ, კანონის 48-ე მუხლის თანახმად, “დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაიცვას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა, როგორც საექიმო საქმიანობის განხორციელების, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ, როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ” [დანართი 10]. პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა ასევე განმტკიცებულია კანონში “პაციენტის უფლებების შესახებ”. ექიმის მიერ კონფიდენციალობის დაცვის წესების დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი ეხება პირადი და ოჯახური საიდუმლოების ხელყოფას [დანართი 4]. ამ მუხლის თანახმად, “პირადი ან ოჯახური საიდუმლოების უკანონოდ მოპოვება, შენახვა ან გავრცელება, ასევე უკანონოდ გამოყენება ან გავრცელება ამა თუ იმ ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებში, მასობრივი მაუწყებლობით ან სხვა საჯარო გამოსვლისას, იმის მიერ, ვისაც სამსახურეობრივი მდგომარეობის, პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოებების გამო ევალებოდა ამ საიდუმლოს დაცვა, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ”.

ჩაბნეულობა და მეხანძრობა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნარკოლოგიური მკურნალობა შესაძლებელია პირს ჩაუტარდეს ნებაყოფლობით ან სავალდებულოდ. 2003 წლიდან მოყოლებული, იმ შემთხვევებში, როდესაც პირი თავისი ნებით მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას, კანონის მიხედვით მას შეუძლია შეინარჩუნოს ანონიმურობა. კერძოდ, საქართველოს კანონის “ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეპარატებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ” 38-ე მუხლის მე-2 პუნქტში ნათქვამია, რომ: “ნარკოტიკული დაავადებულ პირს ნარკოლოგიური დახმარება გაეწევა შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, გაცხადებულად ან ანონიმურად, ნებაყოფლობით ან სავალდებულო წესით...” [დანართი 1]. ანონიმური მკურნალობის დროს, სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე პირს მიანიჭებს საიდენტიფიკაციო კოდს, რომელიც გამოიყენება შესაბამისი ფორმების შევსებისას და პირის სამედიცინო ისტორიაში. ეს კოდი ინახება ამავე დაწესებულებაში. ნებაყოფლობითი მკურნალობის შემთხვევაში ინფორმაცია არ გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს. აქედან გამომდინარე, ის, ვინც ნებაყოფლობით მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას, არ იდენტიფიცირდება კანონის მიერ, იმ პირებისაგან განსხვავებით, რომლებიც პოლიციის მიერ არიან დაკავებული. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 317/6 ბრძანების საფუძველზე, რომელიც ადგენს ინსტრუქციებსა და წესებს “ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელთა შემოწმების, გამოკვლევის, ექსპერტიზის, დიაგნოსტიკის, დისპანსერიზაციის, აღრიცხვისა და მკურნალობის შესახებ”, მიუთითებს, რომ: “ანონიმური მკურნალობის ჩატარების შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის სამმართველოში და ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში გასაგზავნად ფორმაში არ იქნეს შევსებული პაციენტის პირადი მონაცემები...”²⁰ “ნარჩო კანონის” თანახმად, პაციენტის ანონიმურობის განსაიდუმლოება ხდება კანონით განსაზღვრული წესით. კერძოდ, როდესაც პაციენტი თვითონ გამოთქვამს თანხმობას აღნიშნული ინფორმაციის განსაიდუმლოების შესახებ

²⁰ იხილეთ სარეგისტრაციო ფორმები №2, №3, №7 და №10 [დანართი 7, ფორმა №10]

და/ან როდესაც არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება. უნდა აღინიშნოს, რომ “ჩარჩო კანონის” შემოღებამდე (2003 წელი), სამკურნალო ნარკოლოგიური დაწესებულებები არ გადასცემდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს და ცენტრალურ საინფორმაციო ბანკს იმ პაციენტთა მონაცემებს, ვინც ნებაყოფლობით გადიოდა მკურნალობას ამ დაწესებულებებში.

სამსახურობივი მუხლები

იმ პირთა გამოკლებით, რომლებიც ნებაყოფლობით გადიან მკურნალობის კურსს, ისინი, ვინც იძულებით ტესტირებას დაექვემდებარნენ და დაუდგინდათ წამალდამოკიდებულების დიაგნოზი ეზღუდებათ გარკვეული პროფესიული საქმიანობა. კერძოდ, საქართველოს კანონის “ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეპურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ” 37-ე მუხლში აღნიშნულია, რომ: “სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ფიზიკურ პირთა ჯანმრთელობის, მორალური ფასეულობების, უფლებებისა და სხვა კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, ნარკომანიით დაავადებულ პირთა მიმართ საქართველოში დადგენილია შეზღუდვები ცალკეულ პროფესიულ საქმიანობებზე, მათ შორის მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაკავშირებულ საქმიანობაზე.” ამ პროფესიულ საქმიანობათა ნუსხა განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №307/ნ ბრძანებით [დანართი 9]. ნარკოტიკების მომხმარებლებს ეკრძალებათ ამ ბრძანებაში ჩამოთვლილი 12-ვე კატეგორიის სამუშაოს შესრულება, მათ შორის ყოველგვარი დამოუკიდებელი სამედიცინო პრაქტიკა. აკრძალვა ძალაშია 5 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც პირს დაუდგინდება დიაგნოზი. ნარკოტიკების მომხმარებლები და ნარკომანიით დაავადებული პირები ვერ იმუშავენ საჯარო სამსახურში, ვინაიდან საქართველოს კანონი “საჯარო სამსახურის შესახებ” განსაზღვრავს იმ დოკუმენტთა ნუსხას, რომლის წარდგენაც საჭიროა სამუშაოს მაძიებლის მიერ საჯარო სამსახურში მისაღებად. კანონის მე-18 მუხლი ადგენს, რომ დამატებით, სხვა საბუთებთან ერთად ყველა სამუშაოს მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს “სუფთა” სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ პირი არ არის რეგისტრირებული ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში და ამ დროისთვის არ მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებებს [დანართი 6]. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც პირს სჭირდება ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა. მაგალითად, არც მართვის მოწმობის ასაღებად გამოცდების ჩაბარებისას და არც სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასაყვლად წვევამდებებს არ სთხოვენ ნარკოლოგიური ცნობის წარდგენას. წვევამდებთა შემოწმებას ახდენს გამწვევ პუნქტში არსებული სამედიცინო კომისია, რომელიც მხოლოდ ზედაპირულად, კლინიკურად ამოწმებს პირს, ხოლო ნარკოტიკების მოხმარების საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში შესაძლებელია ბიოლოგიური მასალის (შარდის) ჩაბარება გახდეს საჭირო.

როდესაც პირი საჯარო სამსახურშია დასაქმებული, ის შესაძლებელია შიგადაშიგ ნარკოლოგიური შემოწმების ობიექტი გახდეს. საქართველოს სხვადასხვა საჯარო სამსახურების (საბაჟო, სამინისტროები, სახელმწიფო დაწესებულებები, სხვა საჯარო უწყებები) მიერ ხდება თანამშრომელთათვის უეცარი ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარება, რათა გამოვლინდეს უწყებაში მომუშავე ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლები. გარკვეული უწყების ხელმძღვანელი უკვეთავს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებს ამ შემოწმების ჩატარებას. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება ნარკოტიკული საშუალების არასამედიცინო მიზნით მოხმარების ფაქტი, თანამშრომელს აიძულებენ დაწეროს განცხადება გათავისუფლების შესახებ. როდესაც ნარკოლოგიური შემოწმება ხდება რომელიმე კერძო დაწესებულების მიერ, მონაცემები გადაეცემა უწყების ხელმძღვანელს და ის ერთპიროვნულად წვევებს რა ზომები მიიღოს იმ პირთა მიმართ, რომლებზეც დადებითი პასუხი მოვიდა. ასეთ შემთხვევებში ინფორმაციის მიწოდება შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის არ ხდება და პირი არ დგება ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე. აღნიშნული პრაქტიკა (თანამშრომლების მასიური შემოწმება) არაკანონიერია, რადგანაც არ არსებობს არანაირი ნორმატიული აქტი ან ბრძანება, რომელიც ამ ქმედებების მართლზომიერებას დაადასტურებდა და სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოებში მოაქცევდა. შემოწმება, როგორც წესი, ხდება კონკრეტული ცალკე აღებული დაწესებულების (პროკურატურა, საბაჟო სამსახური,

სამინისტროები) დაკვეთით რომელიმე სამედიცინო დაწესებულებაში და შემოწმების რაოდენობრივი მონაცემები არ იყრის თავს ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში.

შრომის კანონთა კოდექსის მე-5 მუხლში აღნიშნულია, რომ: “*დამსაქმებელი უფლებამოსილია მოიპოვოს ის ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელიც ესაჭიროება მისი დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად*” [დანართი 5]. აღნიშნული შეიძლება ითვალისწინებდეს კანდიდატის მიერ სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის წარდგენის ვალდებულებასაც, თუმცა ეს დამოკიდებულია საქმიანობის სპეციფიკაზე და დამსაქმებლის პირად შეხედულებებზე. ადრე მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლი ითვალისწინებდა შრომის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის მოთხოვნის უფლებას ადმინისტრაციის მიერ თუ პირი სამუშაოზე გამოცხადდებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში ან ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ. თუმცა, 2006 წლის ივლისში, ახალი შრომის კოდექსის შემოღებით, ეს ნორმა ამოღებულ იქნა.

ჯანჯანი საანონსებლო სვინჯახი

2007 წელს გენერალური პროკურორის მიერ პარლამენტში წარდგენილ იქნა კანონპროექტი “ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”, რომელიც სწრაფი საპარლამენტო განხილვების შედეგად მიღებულ იქნა და ძალაში შევიდა 2007 წლის ივლისში [დანართი 11]. ამ კანონის თანახმად ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლებს²¹, ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობთ და ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებლებს ჩამოერთმევათ შემდეგი უფლებები: ა) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; ბ) საექიმო საქმიანობის უფლება; გ) საადვოკატო საქმიანობის უფლება; დ) პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; ე) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების დაწესებულებებში საქმიანობის უფლება; ვ) პასიური საარჩევნო უფლება; ზ) იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება²². ამ უფლებებთან ერთად ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობთ ჩამოერთმევათ უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონება. აღნიშნული შეზღუდვები ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელთათვის ძალაში შევიდა 2007 წლის 1 ნოემბრიდან.

დასკვა

საქართველოში ნარკოტიკების მოხმარებასა და მასთან დაკავშირებული პრობლემების ირგვლივ სიტუაცია ბოლო ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა. სახელმწიფომ ვერ გაითავისა ნარკოტიკების მოხმარების სოციალური და ჯანდაცვის ფაქტორები და ვერ მოახერხა ადექვატური საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის დანერგვა. ქვეყანაში ძალიან ცოტაა მკურნალობის პროგრამები და ზიანის შემცირების სერვისები. იმის მაგიერად, რომ ნარკოტიკების მომხმარებლები ღებულობდნენ მკურნალობას, მათ ახდევინებენ ჯარიმებს და ხშირად ისინი ციხეშიც კი ხვდებიან, სადაც აგრძელებენ ნარკოტიკების მოხმარებას კიდევ უფრო საშიშ გარემოში²³. არსებული სისტემის ერთადერთი დადებითი მახასიათებელი არის ის, რომ სამკურნალოდ ნებაყოფლობით მისული პაციენტის მონაცემების კონფიდენციალურობა დაცული არის. აუცილებელია სახელმწიფომ გააცნობიეროს არსებული კანონმდებლობის და დამახინჯებული სამართლებრივი პრაქტიკის საზიანო შედეგები და შეიმუშავოს სტრატეგია, რომელიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებების პატივისცემასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრინციპებზე.

ნარკოტიკების მომხმარებელთა ტესტირებისა და რეგისტრაციის არსებული სისტემა საჭიროებს ფუნდამენტურ რეფორმირებას, რადგან ის ემსახურება მხოლოდ პოლიციური კონტროლისა და ნარკოტიკების მომხმარებელთა დევნის მიზნებს.

²¹ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი – პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, მუხლი 2. ტერმინთა განმარტება, *საქართველოს კანონი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ* [დანართი 11]

²² იხ. დანართი 11, უფლებათა ჩამორთმევის ვადები

²³ ჯავახიშვილი 2006წ.

ჯანდაცვის სისტემის საჭიროებებიდან გამომდინარე, საჭიროა ინფორმაციისა და მონიტორინგის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ევროკავშირის ყველა ქვეყანაში არსებობს და ემსახურება სანდო და შედარებადი ეპიდემიოლოგიური მონაცემების შეგროვებას და ანალიზს²⁴.

ჩანაწერი:

- ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებული “გაყინული” მონაცემების გაუქმება. მონაცემები არ შეიცავს ზუსტ ინფორმაციას ამა თუ იმ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ხოლო ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებულ ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა ქმნის ამ ინფორმაციის არასწორი გამოყენების შესაძლებლობას და პირთათვის წარმოადგენს ბარიერს სამსახურში მიღებისას;
- შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს არსებული რეგისტრაციის სისტემის შეცვლის გეგმას მონიტორინგისა და შეფასების კონფიდენციალური სისტემით, რომლის უშუალო ფუნქცია იქნება ეპიდემიოლოგიური მონაცემების შეგროვება და ნარკოტიკების მომხმარებელთათვის შეთავაზებული სამედიცინო სერვისების ხარისხის და ამ სერვისებზე მოთხოვნის შეფასება. როგორც ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების ევროპული მონიტორინგის ცენტრი აცხადებს: “*მკურნალობის მონიტორინგის სისტემები ნარკოტიკების ეპიდემიოლოგიისა და მოთხოვნის შემცირების ერთ-ერთ უდიდეს საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს. ეს სისტემები იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას ნარკოტიკების მოხმარების გავრცელებისა და თავისებურებების თაობაზე, და აგრეთვე ამ ფენომენთან (ნარკოტიკების მოხმარებასთან) გამკლავებისათვის საჭირო ზომების შესახებ*”²⁵. ასეთი რეგისტრაციის/მონიტორინგის სისტემა აღრიცხავს ნარკოტიკების მომხმარებლებს, რომლებიც სხვადასხვა სერვისებს მიმართავენ (პრევენცია, მკურნალობა და რეაბილიტაცია). ეს სისტემა იყენებს უნიკალურ საიდენტიფიკაციო კოდს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელიც ენიჭება თითოეულ ასეთ სერვისში მონაწილე პირს. კლიენტის პერსონალური მონაცემები კონფიდენციალურია და შეგროვილი ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ ეპიდემიოლოგიური მიზნებისათვის: სერვისების გამოყენების ტენდენციების, რესურსების საჭიროების განსაზღვრა და ნარკოტიკების მომხმარებელთათვის განკუთვნილი სერვისების მონიტორინგი და შეფასება;
- იმ პოლიტიკის/სტრატეგიის გაუქმება, რომელიც საშუალებას აძლევს პოლიციას ჩაატაროს რანდომული ნარკოლოგიური ტესტირება ან დააკავოს პირები მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ცნობილია წარსულში მათი მხრიდან ნარკოტიკების მოხმარების ფაქტები;
- ჩამოყალიბდეს სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს მინისტრების ყველა ბრძანებას, დადგენილებას, პროცედურას და სხვა წესებს, რომლებიც მიეკუთვნება ნარკოპოლიტიკას და ნარკოტიკების მომხმარებელთა რეგისტრაციას საქართველოში და შეიმუშავებს რეკომენდაციებს კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობისა და ჰარმონიზაციისათვის;
- დაინიშნოს ომბუტსმენი – შეიქმნას კომიტეტი, რომელიც შედგება იურისტებისა და ადამიანის უფლებების დამცველთაგან, რომლებიც გამოიძიებენ ნარკოტიკების მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტებს პოლიციის მხრიდან.

²⁴ EU Drugs Action Plan (2005-2008), *Official Journal of the European Union*, (2005/C 168/01), <http://www.emcdda.europa.eu/html.cfm/index10360EN.html>

²⁵ EMCDDA scientific report, Treatment demand indicator-Standard protocol 2.0, *EMCDDA/2000*

ბიბლიოგრაფია:

- 1 იუსტიციის სამინისტრო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, <http://www.dop.gov.ge/statistika.aspx>
- 2 კანონი “პოლიციის შესახებ” მუხლი 9, ნაწილი 1,
 - 1 თბილისის საქალაქო სასამართლო (წერილი № გ-176-07)
 - 2 თბილისის საქალაქო სასამართლო (წერილი № გ-244-07)
- 3 სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (წერილი N20/01/19-341, 27.02.2007)
- 4 საქართველოს კონსტიტუცია, 1995წ.
- 5 შინაგან საქმეთა სამინისტრო (წერილი №7/2-901 05.03.2007)
- 6 შინაგან საქმეთა სამინისტრო (წერილი №7/2-1576 17.04.2007)
- 7 Javakhishvili, J., Kariauli, D. , Lejava, G., Stvilia, K., Todadze, Kh. and Tsintsadze, M. (2006) Drug Situation in Georgia - 2005. *Tbilisi, Georgia: Southern Caucasus Anti-Drug Programme.*
- 8 EMCDDA scientific report, Treatment demand indicator-Standard protocol 2.0, *EMCDDA/2000*
- 9 EU Drugs Action Plan (2005-2008), *Official Journal of the European Union*, (2005/C 168/01), <http://www.emcdda.europa.eu/html.cfm/index10360EN.html>
- 10 Gamkrelidze, A., Javakhishvili, J., Kariauli, D. , Lejava, G., Stvilia, K., Todadze, Kh. and Tsintsadze, M. (2005) Drug Situation in Georgia - 2004. *Tbilisi, Georgia: Southern Caucasus Anti-Drug Programme*
- 11 Shatirishvili J., Gamsaxurdia T., Otiashvili D., Khurcia L., 2005 Financial and Economic Aspects of Drug Abuse. *Financial and Economic Problems of the Transitional Period*, Research Institute of Finance, Ministry of Finance of Georgia, vol. 8, p. 361-386
- 12 Äi èððé Ñóáí ðí á, Õáí ðèè è ñèñòáí ù í ðí ðèáí äáéñòàè ý ðáñí ðí ñòðáí áí èþ í àðéí ï áí èè è éí í ððí èý çà í àðéí ðè ðáèè è ñòááñòáàì è, Ì äàè ñòáðñèàý àè ññáðòàèè ý, Ì í ñèàà 1996á <http://dimasuvorov.narod.ru/drugs/diplom.htm#1>

საქართველოს კანონი

ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების,

პრეპურსორებისა და ნარკოლოგიური

დახმარების შესახებ

მუხლი 37. პროფესიულ საქმიანობაზე დადგენილი შეზღუდვები

1. სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ფიზიკურ პირთა ჯანმრთელობის, მორალური ფასეულობების, უფლებებისა და სხვა კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, ნარკომანიით დაავადებულ პირთა მიმართ საქართველოში დადგენილია შეზღუდვები ცალკეულ პროფესიულ საქმიანობებზე, მათ შორის, მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაკავშირებულ საქმიანობაზე.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ პროფესიულ საქმიანობათა ნუსხას განსაზღვრავენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და იუსტიციის სამინისტროები.

მუხლი 38. ნარკოლოგიური დახმარების ზოგადი პრინციპები

2. ნარკომანიით დაავადებულ პირს ნარკოლოგიური დახმარება გაეწევა შესაბამისი დიაცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, გაცხადებულად ან ანონიმურად, ნებაყოფლობითი ან სავალდებულო წესით. არასრულწლოვან პაციენტს ნარკოლოგიური დახმარება გაეწევა მშობლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ან საკუთარი სურვილით.

მუხლი 39. ნარკომანიით დაავადებულ პირთა გამოვლენა, აღრიცხვა და ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების მიღების ფაქტის დადგენა

1. ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღების ფაქტები დგინდება კლინიკური ან/და ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სტანდარტით.
2. ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში თავსდება ინფორმაცია საქართველოში ნარკომანიით დაავადებულ პირთა შესახებ. ანონიმური მკურნალობის შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებებს უფლება აქვთ, საინფორმაციო ბანკში ინფორმაცია გააგზავნონ პაციენტის პერსონალური მონაცემების გარეშე. ასეთი მონაცემები წარმოადგენს საექიმო საიდუმლოებას, რომლის განსაიდუმლოება ხდება პაციენტის თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.
3. ნარკომანიის დიაგნოსტიკას ახდენს სამედიცინო დაწესებულება კომისიური წესით (არანაკლებ სამი ექიმი-ნარკოლოგის მონაწილეობით), რომელიც ნარკომანიით დაავადებულ პირზე სამ ეგზემპლარად ადგენს სააღრიცხვო ბარათს. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება ცენტრალურ საინფორმაციო ბანკს, მეორე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო მესამე – რჩება დაწესებულებაში.
4. ნარკომანიით დაავადებული პირი მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ სამი წლის განმავლობაში იმყოფება დისპანსერულ მეთვალყურეობაზე.
5. ნარკომანიით დაავადებული პირის დისპანსერიზაციის, აგრეთვე სომატონარკომანიის მეთვალყურეობისა და მკურნალობის წესს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

მუხლი 40. ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა

2. ნებაყოფლობითი მკურნალობის შემთხვევაში ნარკომანიით დაავადებულ პირს უფლება აქვს დადგენილი წესით შეინარჩუნოს ანონიმურობა, საკუთარი სახსრებით, არანაკლებ სიცოცხლეში ერთხელ კი – სახელმწიფოს ხარჯზე ჩაიტაროს მკურნალობის სრული კურსი.
3. ანონიმური მკურნალობის შემთხვევაში ნარკომანიით დაავადებული პირი ვალდებულია სამედიცინო დაწესებულებას დადგენილი წესით წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი. ასეთი საბუთის საფუძველზე პაციენტს ენიჭება სპეციალური საიდენტიფიკაციო კოდი, რომლის გაშიფვრა ხდება მისი თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

4. პაციენტის მიერ პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის, მისთვის საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭებისა და კონფიდენციალობის დაცვის წესებს ადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი 2

**საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა
კოდექსი**

მუხლი 45. ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შექმნა ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე

ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შექმნა ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან, გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად ჩაითვლება, – ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით.

შენიშვნა:

1. პირი, რომელიც ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, რომელიც მას აქვს მცირე ოდენობით და რომელიც შეიძინა ან შეინახა გასაღების მიზნის გარეშე, აგრეთვე რომელიც ნებაყოფლობით მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებით მისთვის სამედიცინო დახმარების გასაწევად, თავისუფლდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის.
2. პოლიციელი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს გამოკვლევის მიზნით წარუდგენს იმ პირს, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან ნარკოტიკული საშუალება ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა.
3. უფლებამოსილი პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენის წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

დანართი 3

**საქართველოს სისხლის სამართლის
კოდექსი**

მუხლი 157. პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა

1. პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა ან გავრცელება, – ისჯება ჯარიმით ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.
2. პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ გამოყენება ანდა გავრცელება ამა თუ იმ ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებში, მასობრივი მაუწყებლობით ან სხვა საჯარო გამოსვლისას, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.
3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:
 - ა) ანგარებით;
 - ბ) არაერთგზის;
 - გ) იმის მიერ, ვისაც სამსახურებრივი მდგომარეობის, პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოების გამო ევალებოდა ამ საიდუმლოს დაცვა;
 - დ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 273. პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლვეი პირის მიერ, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა თავისუფლების აკვეთით ვადით ერთ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ უნდა იყოს ამ ქმედებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლით განსაზღვრული ჯარიმის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები.

დანართი 4

**საქართველოს კანონი
პაციენტის უფლებების შესახებ**

მუხლი 27

სამედიცინო მომსახურების გამწვევი ვალდებულება პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაიცვას როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ.

მუხლი 28

1. სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია, თუ:

- ა) მიღებულია პაციენტის თანხმობა;
- ბ) ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა საფრთხეს უქმნის მესამე პირის (რომლის ვინაობაც ცნობილია) სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;
- გ) სასწავლო ან სამეცნიერო მიზნით პაციენტის შესახებ ინფორმაციის გამოყენებისას მონაცემები ისეა წარმოდგენილი, რომ შეუძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია;
- დ) ამას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

2. სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ სამედიცინო მომსახურებაში მონაწილე სხვა პირებისათვის პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებაზე პაციენტის თანხმობა ნაგულისხმევად შეიძლება ჩაითვალოს.

დანართი 5

საქართველოს შრომის კოდექსი

მუხლი 5. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა შრომითი ხელშეკრულების დადებამდე

- 1. დამსაქმებელი უფლებამოსილია მოიპოვოს ის ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელიც ესაჭიროება მისი დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.
- 3. დამსაქმებელს უფლება აქვს შეამოწმოს კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაციის სისწორე.
- 4. დამსაქმებლის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ და კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაცია არ შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის კანდიდატის თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 5. კანდიდატს უფლება აქვს გამოითხოვოს მის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, თუ მასთან დამსაქმებელმა არ დადო შრომითი ხელშეკრულება.

**საქართველოს კანონი
საჯარო სამსახურის შესახებ**

მუხლი 18. სპეციალური მოთხოვნები

4. სამსახურში მიღებისას აუცილებელია პირმა წარადგინოს სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 25. საჯარო სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტები

1. საჯარო სამსახურში უფლების მქონე პირს უნდა წარუდგინოს:
 - ა) წერილობითი განცხადება;
 - ბ) ავტობიოგრაფია;
 - გ) ხელწერილი კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შესახებ;
 - დ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
 - ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - ვ) უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;
 - ზ) ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის ცნობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან;
 - თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;
 - ი) სამედიცინო დასკვნა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
 - კ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.
2. ამ დოკუმენტების წარუდგენლობა შეიძლება გახდეს პირის სამსახურში მიღებაზე უარის საფუძველი.

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა 317/6

2003 წლის 10 დეკემბერი ქ. თბილისი

**ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელთა შემოწმების, გამოკვლევის,
ექსპერტიზის, დიაგნოსტიკის, დისპანსერიზაციის, აღრიცხვიანობისა და
მკურნალობის წესების დამტკიცების შესახებ**

ნარკოტიკული და სხვა გამაბრუებელი საშუალებებით გამოწვეული თრობის მდგომარეობის დადგენა

1. ნარკოტიკული თრობის მდგომარეობის დასადგენად წარმოდგენილ ყველა გამოსაკვლევ პირს უნდა ჩაუტარდეს კლინიკური და ქიმიო-ტოქსიკოლოგიური გამოკვლევა.
2. ნარკოტიკული თრობის მდგომარეობის დადგენის წარმოების დროს ექიმი ავსებს ამბულატორიულ ავადმყოფის ისტორიას რომელშიც დაწვრილებით უნდა აღიწეროს გამოსაკვლევ პირის საპასპორტო მონაცემები, სოციალური სტატუსი, გამოკვლევის ჩატარების თარიღი და ზუსტი დრო, პიროვნების დაკავებიდან გამოკვლევაზე წარმოდგენამდე გასული დრო, ოპერატიული მონაცემები, დებულობს თუ არა ნარკოტიკებს, რომელი ჯგუფის ან რომელ საშუალებას, რა სიხშირით, რა ხერხით, გადატანილი აქვს თუ არა აბსტინენცია და ა.შ. უნდა აღიწეროს გამოსაკვლევ პირის გარეგნობა, ფიზიკური, ნევროლოგიური და ფსიქიკური სტატუსი, პოსტინექციური ნაწიბურების ან კვლევის არსებობა. სრული კლინიკური გამოკვლევის შემდეგ ექიმს გამოაქვს სათანადო დასკვნა. ამბულატორიული ბარათის წარმოების სხვა ფორმა დაუშვებელია.
3. ნარკოტიკული თრობის მდგომარეობის დადგენის წარმოების საფუძველია გამოსაკვლევ პირის წარმოდგენი მხარის კანონით გათვალისწინებული ოფიციალური მომართვა, რომელიც უნდა დაერთოს სამედიცინო ბარათს.
4. გამოსაკვლევ პირს ექიმი კლინიკური შემოწმების შემდეგ სათანადო მომართვით აგზავნის ქიმიო-ტოქსიკოლოგიურ ლაბორატორიაში. მიმართვაში მითითებული უნდა

იყოს ბიოლოგიურ მასალაში საკვლევ საშუალებათა ჯგუფი ან სახეობა. მომართვაში და ავადმყოფის ამბულატორიულ ისტორიაში გამოსაკვლევი პირის საპასპორტო მონაცემების მაგიერ ფიქსირდება კოდი.

5. გამოსაკვლევი პირისაგან საანალიზო ბიოლოგიური მასალის აღებას უნდა ესწრებოდეს წარმომდგენი მხარე და ექიმი. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოსაკვლევი პირისაგან ამა თუ იმ მიზეზით ვერ ხერხდება საკვლევი ბიოლოგიური მასალის აღება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (ერთნახევარი-ორი საათი), სამედიცინო ბარათში ექიმის მიერ ფიქსირდება აღნიშნული მდგომარეობის მიზეზი ან მოტივი.

6. ქიმიო-ტოქსიკოლოგიური თრობის მდგომარეობის დადგენას აწარმოებს ყველა სამედიცინო დაწესებულება, რომელთაც აქვთ ნარკოტიკული თრობის მდგომარეობის დადგენის უფლება და იგი ხორციელდება სამ დონეზე:

I დონე – კლინიკური შემოწმების გარდა გამოსაკვლევი პირისაგან აღებულ ბიოლოგიური მასალაში (შარდი) ნარკოტიკული ან სხვა გამაბრუნებელი საშუალებების შემცველობის განსაზღვრა ხდება ექსპრეს ტესტებით ან თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდით. ბიოლოგიური მასალა ილუქება ორ ულუფად და ინახება მაცივარში სათანადო წესების დაცვით ოცდაათი დღის განმავლობაში. დალუქულ ულუფებზე უნდა იყოს გამოსაკვლევი პირის, წარმომდგენისა და ექიმის ხელმოწერები. ერთჯერადი ექსპრეს-ტესტის მეშვეობით გამოკვლევისას ფირფიტაზე ფიქსირდება გამოსაკვლევი პირის შესაბამისი კოდი, შემოწმების ჩატარების თარიღი. გამოკვლევის შედეგი გამოსაკვლევი პირსა და წარმომდგენს ეცნობება შემოწმებისთანავე, რაზედაც გამოსაკვლევი პირი აწერს ხელს. ქიმიო-ტოქსიკოლოგიის არყოფნის შემთხვევაში ექიმი-ნარკოლოგი მოვალეა თავად ჩაატაროს გამოკვლევა ერთჯერადი ექსპრეს-ტესტით. კლინიკური გამოკვლევისა და ლაბორატორიული ანალიზის (ერთჯერადი სადიაგნოსტიკო ექსპრეს-ტესტი) ჩატარების შედეგად ექიმი მოვალეა გასცეს სათანადო დასკვნა დაუყოფნებლივ.

II დონე – ხორციელდება უფრო მაღალი მგრძობელობის მეთოდებით და იმ საანალიზო მასალის საკონტროლო ულუფის დამატებითი ქიმიო-ტოქსიკოლოგიური კვლევა, რომლებიც იგზავნება ნარკოლოგიური კაბინეტებიდან რომელიმე მხარის მიერ გაცხადებული პროტესტის შემთხვევაში.

III დონე – საანალიზო მასალის კვლევა ტარდება ქიმიო-ტოქსიკოლოგიურ ლაბორატორიაში I და II დონით გათვალისწინებული მეთოდებითა და აგრეთვე დამატებითი უფრო მგრძობიარე მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით. ამასთან, აღნიშნული II და III დონეზე სადაო შემთხვევების განხილვისას წარმომდგენილი უნდა იქნეს ყველა აქამდე არსებული ლაბორატორიული კვლევისა და კლინიკური შემოწმების შედეგები. საკონფლიქტო შემთხვევათა განხილვა ხორციელდება სათანადო წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. განმეორებითი ანალიზის შედეგი ეცნობება დაინტერესებულ მხარეს.

7. გამოსაკვლევი პირის ქიმიო-ტოქსიკოლოგიური ანალიზის შედეგები ფიქსირდება სპეციალურ ბლანკზე და ერთვის ამბულატორიულ სამედიცინო ბარათს.

8. იმ შემთხვევაში, თუ გამოსაკვლევი პირს კლინიკურად არ აღენიშნება ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედება, თვითონ უარყოფს ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღების ფაქტს და მას არ აღენიშნება რაიმე სომატო-ტოქსიკოლოგიური გადახრები, ქიმიო-ტოქსიკოლოგიური კვლევის მიმართულებისას შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს წარმომდგენის ოპერატიული მონაცემები. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში ანალიზი უნდა ჩატარდეს რამდენიმე ლაბორატორიული მეთოდით.

9. ნარკოტიკული თრობის მდგომარეობის დადგენის დასკვნა (იხ. ფორმა №4), გაიცემა წარმომდგენ მხარეზე, რაც დასტურდება მისი ხელის მოწერით გაცემლი დანომრილი აქტების სარეგისტრაციო ჟურნალში.

10. პირის პირადი განცხადების საფუძველზე ნარკოტიკული თრობის მდგომარეობის დადგენა უნდა ჩატარდეს დაწესებულების შიდა სტანდარტის მიხედვით კლინიკური გამოკვლევითა და ქიმიო-ტოქსიკოლოგიური ანალიზით და გათვალისწინებული უნდა იქნას ადრინდელი გამოკვლევის მონაცემები.

11. ნარკოტიკული თრობის მდგომარეობის დადგენის დასკვნა:

ამ პუნქტის “ა”, “ბ”, “გ”, “დ”, “ე”, ქვეპუნქტებში მითითებული დასკვნის ფორმულირებები გამომკვლევ ექიმს ან საექიმო საკონსულტაციო კომისიას გამოაქვს ავადმყოფობის ისტორიაში, ხოლო საბოლოო დასკვნა დაწესებულებიდან გაიცემა ისე, როგორც მითითებულია “ვ” ან “ზ” ქვეპუნქტებში.

ა) კლინიკურად არ ვლინდება ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ნიშნები. ლაბორატორიულად არ დადგინდა ნარკოტიკული საშუალებების მიღების ფაქტი;

ბ) კლინიკურად არ ვლინდება ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ნიშნები, მაგრამ პოსტინექციური ნაწიბურების ან კვლევების არსებობის გამო საჭიროებს სტაციონარულ გამოკვლევას. ლაბორატორიულად არ დადგინდა ნარკოტიკული საშუალებების მიღების ფაქტი;

გ) კლინიკურად იმყოფება ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ. ლაბორატორიულად დადგინდა (ან არ დადგინდა) ნარკოტიკული საშუალებების მიღების ფაქტი. დიაგნოზის დასადგენად საჭიროებს სტაციონარულ გამოკვლევას;

დ) კლინიკურად არ იმყოფება ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ, ლაბორატორიულად დადგინდა ნარკოტიკული საშუალებების მიღების ფაქტი. დიაგნოზის დასადგენად საჭიროებს სტაციონარულ გამოკვლევას;

ე) კლინიკურად არ იმყოფება ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ, იმის გამო, რომ აღენიშნება ნარკოტიკული აბსტინენციის ნიშნები, საჭიროებს სტაციონარულ გამოკვლევას. ლაბორატორიულად დადგინდა (ან არ დადგინდა) ნარკოტიკული საშუალებების მიღების ფაქტი.

ვ) გამოკვლევით დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალებების მიღების ფაქტი.

ზ) გამოკვლევით ნარკოტიკული საშუალებების მიღების ფაქტი არ დაუდგინდა.

12. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოსაკვლევე პირი კლინიკური შემოწმების შემდეგ უარს აცხადებს ან ვერ ახერხებს ბიოლოგიური მასალის (შარდი) ჩაბარებას ორი ასტრონომიული საათის პერიოდში, ექიმი ვალდებულია აღწეროს კლინიკური შემოწმების შედეგი და გასცეს შესაბამისი დასკვნა.

13. გამოსაკვლევე პირის მიმართ სპეციალიზებულ სტაციონარში გამოკვლევის საჭიროების რეკომენდაცია გაიცემა საბოლოო დიაგნოზის დადგენის მიზნით. თუ პიროვნება უარს აცხადებს სტაციონარში მოთავსებაზე ან იგი წაყვანილია ოპერატიული ღონისძიებების გასატარებლად, ყოველივე სათანადო ხელისმომწვერითა და წარმომდგენი თანამშრომლის პირადობის მოწმობის ნომრის მითითებით ფიქსირდება ამბულატორიული ავადმყოფის ისტორიაში. შემდგომში პიროვნების სტაციონარულ გამოკვლევაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში დასკვნა, სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, გამოაქვს საექიმო-საკონსულტაციო კომისიას, რის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდება გამოსაკვლევე პირსა და მის წარმომდგენ მხარეს.

სტაციონარული გამოკვლევა საბოლოო დიაგნოზის დადგენის მიზნით უნდა განხორციელდეს II და III დონეზე.

ინსტრუქცია

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელთა აღრიცხვაზე აყვანის და აღრიცხვიანობის წესების შესახებ

1. ნარკომანიით დავადებულთა და ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით მომხმარებელთა გამოვლენის შემთხვევაში ივსება შესაბამისი ფორმა (იხ. ფორმა 7) სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება გამომკვლევ სამედიცინო დაწესებულებაში ან ინდივიდუალური პრაქტიკის მქონე ექიმთან, მეორე ეგზემპლარი იგზავნება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში (შემდგომში ცსბ), ხოლო მესამე ეგზემპლარი – შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმტიზაციის სამმართველოში.

2. ანონიმური მკურნალობის ჩატარების შემთხვევაში დასაშვებია შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმტიზაციის სამმართველოში და ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში გასაგზავნ ფორმაში არ იქნას შევსებული სააღრიცხვო ბარათის 2, 3, 7 და 10 პუნქტები. ასეთი მონაცემების განსაიდუმლოება ხდება პაციენტის მოთხოვნით ან სასამართლოს დადგენილებით.

3. პირებზე, რომელთაც გამოუვლინდათ ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი ან დაუდგინდათ დიაგნოზი ნარკომანია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, საადრიცხვო ბარათი ივსება სამ ეგზემპლარად, ინახება იმ დაწესებულებაში სადაც მრსჯავდებული იხდის სასჯელს და მათ განთავისუფლებამდე 2 კვირით ადრე იგზავნება ცსბ და შინაგან საქმეთა სამინისტროში.

4. ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელთა (რომლებიც უკვე იმყოფებიან აღრიცხვაზე) მიმართ ნარკომანიის დიაგნოზის გამოტანის შემთხვევაში განმეორებით ივსება საადრიცხვო ბარათი ადრინდელი ბარათის ნომრის მითითებით და შესაბამის გრაფაში კეთდება ჩანაწერი. ორივე საადრიცხვო ბარათი ინახება სამედიცინო დაწესებულებაში, ცსბ და შინაგან საქმეთა სამინისტროში ძველი ბარათი ნაღვურდება.

5. ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი იმყოფება აღრიცხვაზე 1 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც იხსნება აღრიცხვიდან როგორც მომხმარებელი ან ნარკომანიის დიაგნოზის დადგენის შემთხვევაში დგება შესაბამის აღრიცხვაზე.

6. ნარკომანიით დაავადებული პირი მკურნალობის კურსის დაწყების დღიდან აღრიცხვაზე იმყოფება 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც იხსნება აღრიცხვიდან საექიმო საკონსულტაციო კომისიის მიერ და მისი ბარათი გადაეცემა არქივში.

7. ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლებს, ნარკომანიით დაავადებულ პირებს და ფსიქოპათიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებს დისპანსერული მეთვალყურეობა უტარდებათ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სტანდარტის მიხედვით.

8. დისპანსერული მეთვალყურეობიდან მოხსნა ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ა. მყარი რემისია სოციალური და შრომითი კავშირების აღდგენით;
- ბ. მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა;
- გ. თავისუფლების აღკვეთა 1 წელზე მეტი ვადით;
- დ. პირის გარდაცვალების შემთხვევაში.

9. დისპანსერული მეთვალყურეობიდან მოხსნის გადაწყვეტილებას იღებს საექიმო საკონსულტაციო კომისია.

10. მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში, ის დაწესებულება, სადაც იმყოფებოდა აღრიცხვაზე პირი, მისი დისპანსერული მეთვალყურეობიდან მოხსნის შესახებ და გადაადგილების საორიენტაციო ადგილის შესახებ ინფორმაციას აწვდის ცენტრალურ საინფორმაციო ბანკს, ხოლო ავადმყოფს ხელზე ეძლევა აღრიცხვიდან დროებით მოხსნის ბარათი, რომელსაც იგი წარადგენს იმ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც დადგება აღრიცხვაზე. სამედიცინო დაწესებულება, რომელიც დებულა ადრე აღრიცხვაზე მყოფ პირს, ავსებს მასზე საადრიცხვო ბარათს სამ ეგზემპლარად შესაბამისი ჩანაწერით და აგზავნის შინაგან საქმეთა სამინისტროში და ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში დადგენილი წესით.

11. ავადმყოფის გარდაცვალების შემთხვევაში ინფორმაცია მისი აღრიცხვიდან მოხსნის შესახებ გადაეცემა ცენტრალურ საინფორმაციო ბანკს და შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ინსტრუქცია

პაციენტის ანონიმურ მკურნალობაზე გაფორმების წესის შესახებ.

1. თვითმომართვის შემთხვევაში პაციენტს უფლება აქვს შეინარჩუნოს ანონიმურობა.
2. ანონიმურობის შენარჩუნების დროს პაციენტი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელს უდგენს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას და მას მიენიჭება საიდენტიფიკაციო კოდი.
3. ანონიმური პაციენტის პირადი მონაცემები საიდენტიფიკაციო კოდთან ერთად შეიტანება სპეციალურ ზონარგაყრილ და ლუქდადებულ ჟურნალში (იხ. ფორმა №10).
4. პაციენტის ანონიმურობის განსაზღვრვა ხდება კანონით განსაზღვრული წესით.

ინსტრუქცია

**სომატონარკომანთა აღრიცხვიანობისა და მკურნალობის
წესების შესახებ**

1. სომატონარკომანით დაავადებული პირის აღრიცხვაზე აყვანა ხდება საექიმო საკონსულტაციო კომისიის გადაწყვეტილებით.
2. სომატონარკომანით დაავადებულ პირზე დადგენილი წესით ივსება სააღრიცხვო ფორმა, რომელშიც პუნქტ 17 კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
3. სომატონარკომანით დაავადებული პირის აღრიცხვაზე ყოფნის ვადა არ განისაზღვრება.
4. სომატონარკომანის მკურნალობა მიმდინარეობს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სტანდარტით.
5. სომატონარკომანით დაავადებული პირის აღრიცხვიდან მოხსნა ხდება:
 - ა. ნარკოტიკების მიღების შეწყვეტის შემდეგ დადგენილი წესით 3 წლის დისპანსერიზაციის შემდეგ.
 - ბ. გარდაცვალების შემდეგ.

თანდართული ფორმები

ფორმა №1

დაწესებულების სარეზისტრაციო ჟურნალის ნიმუში

	ფორმა N25 ან ოქმის №	ვის მიერ არის წარმოდგენილი	გამოსაკვლევის გვარი, სახელი, მამის სახელი	პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის	დაბადების წელი
1	2	3	4	5	6
სქესი	მისამართი	სამუშაო ადგილი	შემოწმების ზუსტი დრო და ადგილი	გამომკვლევი ექიმი	დასკვნა
7	8	9	10	11	12

ფორმა №6

ლაბორატორიული ანალიზების სარეზისტრაციო ჟურნალის ნიმუში

	გამოსაკვლევის გვარი, სახელი, მამის სახელი ან კოდი	ვის მიერ არის გამოგზავნილი	გამოსაკვლევი მასალა	გამოსაკვლევის მეთოდიკა
1	2	3	4	5
გამომკვლევის დაწვებისა და დამთავრების დრო	გამომკვლევის შედეგი	საკონტროლო ნიმუშის არსებობა	ცნობა გასცა	
6	7	8	9	10

ფორმა №10

ანონიმურ მკურნალობაზე მყოფი პაციენტების ჟურნალის ნიმუში

	პაციენტის გვარი, სახელი, მამის სახელი	მისამართი	დაბადების წელი	პროფესია
1	2	3	4	5
პირადობის დამადასტურებელი საბუთი და №	მოქალაქის პირადი ნომერი	მინიჭებული კოდი	შენიშვნა	
6	7	8	9	10

სააღრიცხვო ბარათი

**პირის, რომელიც არასამედიცინო მიზნით მოიხმარს ნარკოტიკულ
საშუალებებს (თუ ანონიმურია, საიდენტიფიკაციო კოდი)**

1. ნარკომანი, ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელი, სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელი (არასაჭირო წაიშალოს)
2. გვარი _____
3. სახელი, მამის სახელი _____
4. კოდი _____
5. დაბადების რიცხვი, თვე, წელი _____
6. დაბადების ადგილი _____
7. საცხოვრებელი ადგილი _____
8. განათლება _____
9. პროფესია _____
10. სამუშაო ადგილი _____
11. ოჯახური მდგომარეობა _____
12. აღრიცხვაზე აყვანის საფუძველი _____
13. როდის დაუდგინდა ფსიქოაქტიური ნივთიერების მიღების ფაქტი _____

14. როდის დაიწყო ნარკოტიკის მიღება _____

16. მოხმარების ხერხები და დოზირება (პერორალური, კანქვეშ, ინტრავენური, მოწვევა) _____

17. როდის და ვის მიერ არის დადგენილი დიაგნოზი „ნარკომანია“ _____

18. როდის და სად იმყოფებოდა სამკურნალოდ _____

19. ნასამართლეობა (როდის და რა მუხლით არის ნასამართლევი, სად _____

20. იყო თუ არა მასზე შევსებული სააღრიცხვო ბარათი როგორც ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელზე _____
21. აღრიცხვიდან მოხსნის თარიღი და საფუძველი _____

22. იმ დაწესებულებების დასახელება, რომელმაც შეავსო სააღრიცხვო ბარათი _____

23. ბარათი შეავსო (თანამდებობა, გვარი, ხელმოწერა) _____
24. აღრიცხვაზე აყვანის საფუძველი და ბარათის შევსების სისწორე შეამოწმა _____

დაწესებულების ხელმძღვანელის
(თანამდებობა, ხელმოწერა)

_____ 2003 წელი

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის
ერთობლივი ბრძანება**

**ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარებასთან
დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დადგენის წესის
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთა კოდექსის 116-ე, 117-ე და 236-ე მუხლების, “პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის “ფ” ქვეპუნქტის და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის “დ” ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებთ:

დამტკიცდეს “ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დადგენის წესი”.

**ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარებასთან
დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების
დადგენის წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში:
 - ა) ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დადგენის მეთოდებსა და სამართლებრივ მექანიზმებს;
 - ბ) ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული სიმთვრალის ფაქტის დადგენის მეთოდებსა და სამართლებრივ მექანიზმებს.
2. ამ წესის მიზანია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების აღკვეთა, აღნიშნული სახის სამართალდარღვევების პროფილაქტიკა, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.
3. ამ წესით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს ტესტირებით – ადგილზე შემოწმების, კლინიკურ-ლაბორატორიული ან/და ლაბორატორიული გამოკვლევის გზით ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირი.

მუხლი 2. ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენის წესი

1. ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენა ხდება ადგილზე შემოწმებისა და ლაბორატორიული გამოკვლევის გზით.
2. ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში პირს ადგილზე ჩაუტარდება შემოწმება – ნერწყვში ნარკოტიკული საშუალების აღმოჩენი იმუნოქრომტესტით.
3. პირის ადგილზე შემოწმების შემდეგ უფლებამოსილი პირის მიერ დგება ადგილზე შემოწმების ბარათი (დანართი №1), რომელშიც აისახება ნერწყვში ნარკოტიკული საშუალების აღმოჩენი იმუნოქრომტესტით შემოწმების შედეგები. აღნიშნულ ბარათზე ხელს აწერს უფლებამოსილი პირი და გამოსაკვლევი პირი. გამოსაკვლევი პირის მიერ ხელმოწერაზე უარი აღინიშნება ბარათში.
4. პირს ლაბორატორიული გამოკვლევა ჩაუტარდება იმ შემთხვევაში თუ ადგილზე შემოწმების გზით (ნერწყვში ნარკოტიკული საშუალების აღმოჩენი იმუნოქრომტესტით) დადგინდება პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი. ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე პირს ლაბორატორიული გამოკვლევა ჩაუტარდება საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაშიც.

5. პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ ტესტირებით – ლაბორატორიული გამოკვლევით, დადასტურდება მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

6. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველის არსებობის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ დგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელშიც აისახება ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე ტესტირების შედეგები.

მუხლი 6. გამოსაკვლევი პირის უფლებები და მოვალეობები

1. პირი, რომლის მიმართ არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი არის ამ წესით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩამდენი, ვალდებულია დაემორჩილოს უფლებამოსილი პირის კანონიერ მოთხოვნას.

2. სამართალდამრღვევს უფლება აქვს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ან/და საკუთარი ხარჯით მოითხოვოს კლინიკურ-ლაბორატორიული შემოწმების განმეორებით ჩატარება.

მუხლი 7. ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარებაზე ტესტირების – ადგილზე შემოწმების წესი

1. ტესტირება ადგილზე შემოწმებით – ნერწყვში ნარკოტიკული საშუალების აღმოჩენი იმუნოქრომტესტით უტარდება პირს, რომლის მიმართ არსებობს საკმაო საფუძველი, რომ მას მოხმარებული აქვს ნარკოტიკული საშუალება ან/და იმყოფება ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში.

2. ტესტირება ადგილზე შემოწმებით ტარდება ერთჯერადი იმუნოქრომტესტით, რომლის გამჟღავნება მასზე აღნიშნული ნარკოტიკული საშუალების (ან საშუალებების) შემცველობაზე ხდება ნერწყვით. ერთჯერადი იმუნოქრომტესტი და ნერწყვის ასაღები მოწყობილობა მოთავსებულია დახურულ პაკეტში, რომელზეც აღნიშნულია ტესტით საკვლევი ნარკოტიკული საშუალების (ან საშუალებების) ჩამონათვალი. პაკეტის გახსნისას ტესტის გამჟღავნების ზონა სუფთაა (თეთრი). გამჟღავნების შემდეგ კონტროლის (აღნიშვნა C) გასწვრივ ჩნდება ვარდისფერი ხაზი. კონტროლის ზონის ქვემოთ აღნიშნულია ნარკოტიკული საშუალების დასახელება.

3. ნარკოტიკული საშუალების დასახელების გასწვრივ კონტროლის შეფერილობის და მისივე პარალელური ხაზი ნიშნავს, რომ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება ნერწყვში არ არის. თუ ნარკოტიკული საშუალების დასახელების გასწვრივ ხაზი არ დაფიქსირდა, ნიშნავს, რომ ნერწყვში აღმოჩნდა აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება.

მუხლი 8. ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე ან ნარკოტიკულ ან/და ფსიქოტროპულ სიმთვრალეზე ტესტირების – კლინიკურ-ლაბორატორიული ან/და ლაბორატორიული შემოწმების წესი

1. კლინიკურ-ლაბორატორიული ან/და ლაბორატორიული გამოკვლევა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ან ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული სიმთვრალის ფაქტის დადგენის მიზნით წარმოებს გამოსაკვლევი პირის წარმომდგენი მხარის ოფიციალური მომართვის ან ადგილზე შემოწმების ბარათის წარდგენის საფუძველზე.

2. ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დასადგენად წარმოდგენილ ყველა გამოსაკვლევ პირს უტარდება ქიმიო-ტოქსიკოლოგიური გამოკვლევა.

3. ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობის დასადგენად წარმოდგენილ ყველა გამოსაკვლევ პირს უტარდება კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევა.

4. ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ან ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული სიმთვრალის ფაქტის დადგენის დროს უფლებამოსილი პირი ავსებს სარეგისტრაციო ჟურნალს და სარეგისტრაციო ბარათს (ან სამედიცინო ბარათს). უფლებამოსილ პირს უნდა წარედგინოს გამოსაკვლევი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთი დოკუმენტის უქონლობა არ წარმოადგენს გამოკვლევის ჩატარებაზე უარის თქმის საფუძველს. ასეთ შემთხვევაში სარეგისტრაციო ჟურნალში და სარეგისტრაციო ბარათში (ან სამედიცინო ბარათში) ფიქსირდება მომართვაში ან ადგილზე შემოწმების ბარათში აღნიშნული მონაცემები. თუ წარმომდგენი ორგანოს მიერ შემდგომში წარმოდგენილი (დაზუსტებული) პიროვნების საიდენტიფიკაციო მონაცემები განსხვავდება

სარეგისტრაციო ბარათში (ან სამედიცინო ბარათში) შეტანილი მონაცემებისაგან, შესწორება დასტურდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის ხელმოწერით და საექსპერტო კრიმინალისტური მთავარი სამმართველოს ბეჭდით.

5. სარეგისტრაციო ჟურნალი (დანართი №2) დანომრილი, ზონარგაყრილი, დალუქული, ხელმოწერილია ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებულია საექსპერტო კრიმინალისტური მთავარი სამმართველოს ბეჭდით. სარეგისტრაციო ბარათი (ან სამედიცინო ბარათი) დანომრილია, ხელმოწერილია ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებულია საექსპერტო კრიმინალისტური მთავარი სამმართველოს ბეჭდით (დანართი №3, დანართი №4). სარეგისტრაციო ჟურნალის და სარეგისტრაციო ბარათის ან სამედიცინო ბარათის ნომერი ერთმანეთს უნდა დაემთხვეს. სამედიცინო ბარათს ავსებს ექიმი, რომელშიც აღიწერება:

6. გამოსაკვლევი პირისაგან საანალიზო ბიოლოგიური მასალის (შარდის) აღებას უნდა ესწრებოდეს წარმომდგენი მხარე და უფლებამოსილი პირი. გამოსაკვლევი პირის მოთხოვნით შესაძლებელია მისი ნდობით აღჭურვილი პირის დასწრება. აღებული ბიოლოგიური მასალა ილუქება ორ ულუფად და ინახება მაცივარში სათანადო წესების დაცვით 14 დღის განმავლობაში. დალუქულ ულუფებზე უნდა იყოს გამოსაკვლევი პირის, წარმომდგენის, უფლებამოსილი პირის, მოთხოვნის შემთხვევაში დამატებით დამსწრე პირის ხელმოწერები. ბიოლოგიური მასალის საკონტროლო ულუფის შენახვის ვადის გაგრძელება ერთ თვემდე შესაძლებელია რომელიმე მხარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

7. ნერწყვში ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალების აღმოჩენის შემთხვევაში გამოსაკვლევი პირისაგან ხდება ბიოლოგიური მასალის (შარდის) აღება და შემოწმება ტარდება იმუნოქრომტესტით უპირველესად ნერწყვში არსებული ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალების შემცველობაზე. სხვა ნარკოტიკული საშუალების შემცველობაზე გამოკვლევა ტარდება წარმომდგენი მხარის მითითებით, რაც სარეგისტრაციო ბარათში ფიქსირდება. თუ ნერწყვში ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალების შემცველობა არ დადგინდა, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალების მოხმარებაზე და პიროვნება წარმოდგენილია გამოკვლევაზე, ბიოლოგიური მასალის (შარდი) აღების შემდეგ შემოწმება ხდება იმუნოქრომტესტით წარმომდგენის მითითების შესაბამისად. თუ ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალების შემცველობა არ დადგინდა და არც ერთ მხარეს პრეტენზია არ აქვს, რასაც სარეგისტრაციო ბარათში ხელმოწერით ადასტურებენ, ბიოლოგიური მასალა არ ილუქება. თუ იმუნოქრომტესტის შედეგი არ არის მკვეთრად გამოხატული, თუ პიროვნება დებულობს რამოდენიმე დასახელების სხვადასხვა პრეპარატს და სხვა შემთხვევებში გამოკვლევა გრძელდება უფრო მაღალი მგრძნობელობის მეთოდით.

8. ანალიზატორის საშუალებით გადაღებული იმუნოქრომტესტის სურათი, ბიოლოგიური მასალის კოდის მითითებით, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, გადაიწერება კომპიუტერში, სადაც იშიფრება, პასუხი შესაბამის მონაცემებთან ერთად ამოიბეჭდება და დაერთვება სარეგისტრაციო ბარათს (ან სამედიცინო ბარათს).

9. კლინიკურ-ლაბორატორიული ან/და ლაბორატორიული კვლევის შედეგი ფიქსირდება შემოწმების ცნობაში (დანართი №5). ცნობა დანომრილია, ხელმოწერილია ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებულია საექსპერტო კრიმინალისტური მთავარი სამმართველოს ბეჭდით. პასუხი გაიცემა წარმომდგენ მხარეზე, რაც დასტურდება მისი ხელმოწერით გაცემული დანომრილი აქტების სარეგისტრაციო ჟურნალში;

10. კლინიკური შემოწმების დასკვნა:

- ა) კლინიკურად იმყოფება ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ;
- ბ) კლინიკურად არ იმყოფება ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ;

11. ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტის დადგენის დასკვნა:

- ა) გამოკვლევით დადგინდა ნარკოტიკული საშუალების ან საშუალებების მიღების ფაქტი (ჯგუფის მითითებით);
- ბ) გამოკვლევით ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი არ დადგინდა.

12. სადაო შემთხვევათა განხილვა ხორციელდება სათანადო წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. განმეორებითი ანალიზის (საკონტროლო ულუფის) კვლევის შედეგი ეცნობება დაინტერესებულ მხარეს.

ადგილზე შემოწმების ბარათი

გამოსაკვლევი პირის სახელი, გვარი, მამის სახელი _____

საიდენტიფიკაციო მონაცემები _____

შემოწმების თარიღი და ზუსტი დრო _____

იმუნოქრომტესტზე გამჟღავნებული სახეების რაოდენობა _____

გამოსაკვლევი პირის ხელმოწერა _____

შედეგი _____

უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, სამსახურეობრივი მოწმობის ნომერი _____

სარეგისტრაციო ჟურნალი

1

№	გამოსაკვლევი პირის მოყვანის თარიღი და ზუსტი დრო	წარმოდგენის სახელი, გვარი, სამსახურეობრივი მოწმობის ნომერი	გამოსაკვლევი პირის სახელი, გვარი, მამის სახელი	გამოსაკვლევი პირის პირადობის დამადასტურებელი ნომერი	გამოსაკვლევი პირის დაბადების წელი, ადგილი

2

გამოსაკვლევი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართი	ბიოლოგიური მასალის (შარდი) კოდი	გამოკვლევის შედეგი მეთოდის მითითებით	შემსრულებელი უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

სარეგისტრაციო ბარათი № - - -

1

გამოსაკვლევი პირის მოყვანის თარიღი და ზუსტი დრო _____

დაკავებიდან გამოკვლევაზე წარმოდგენამდე გასული დრო _____

ოპერატიული მონაცემები _____

ნერწყვში შემოწმების შედეგი _____

წარმოდგენის სახელი, გვარი, სამსახურეობრივი მოწმობის ნომერი, სამუშაო ადგილი _____

გამოსაკვლევი პირის:

სახელი, გვარი, მამის სახელი _____

_____ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის სახეობა და ნომერი _____

დაბადების წელი, ადგილი _____

საცხოვრებელი ადგილის მისამართი _____

ოჯახური მდგომარეობა _____

ნასამართლობა _____

სამუშაო ადგილი _____
მიღებული აქვს თუ არა ნარკოტიკული საშუალება _____

ღებულობს თუ არა მედიკამენტებს, ექიმის დანიშნულებით თუ დანიშნულების გარეშე

ბიოლოგიური მასალის (შარდი) კოდი _____
ბიოლოგიური მასალის პარამეტრები _____
იმუნოქრომტესტით გამოკვლევის შედეგი მეთოდის მითითებით _____

ბიოლოგიური მასალის შენახვის ვადა _____
სხვა მონაცემები (წარმომდგენის ან/და გამოსაკვლევი პირის მიერ გამოთქმული
შენიშვნა) _____

წარმომდგენი _____
გამოსაკვლევი პირი _____
უფლებამოსილი პირი _____

ფორმა №4

სამედიცინო ბარათი

სამედიცინო ბარათს ავსებს ექიმი კლინიკურ-ლაბორატორიული შემოწმების დროს.
ივსება ავადმყოფის ისტორია, რომელშიც აღიწერება:

№- - -

- გამოსაკვლევი პირის მოყვანის თარიღი და ზუსტი დრო;
- პიროვნების დაკავებიდან გამოკვლევაზე წარმოდგენამდე გასული დრო;
- ოპერატიული მონაცემები (თუ ასეთი არსებობს);
- წარმომდგენის მიერ ჩატარებული პირველადი (ნერწყვში) შემოწმების შედეგი;
- წარმომდგენი პირის სახელი, გვარი, სამსახურებრივი მოწმობის ნომერი;
- გამოსაკვლევი პირის: სახელი, გვარი, მამის სახელი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის სახეობა და ნომერი;
- დაბადების წელი, ადგილი;
- საცხოვრებელი ადგილის მისამართი;
- ოჯახური მდგომარეობა, ნასამართლობა;
- სამუშაო ადგილი;
- მიღებული აქვს თუ არა ნარკოტიკული საშუალება;
- ღებულობს თუ არა რაიმე მედიკამენტებს ექიმის დანიშნულებით ან დანიშნულების გარეშე, გადატანილი აქვს თუ არა აბსტინენცია; გამოსაკვლევი პირის გარეგნობა, ფიზიკური, ნევროლოგიური და ფსიქიკური სტატუსი;
- სათანადო დასკვნა;
- ბიოლოგიური მასალის კოდი, ბიოლოგიური მასალის პარამეტრები, იმუნოქრომტესტით გამოკვლევის შედეგი შესაბამისი აღწერილობით - შემსრულებლის ხელმოწერით;
- წარმომდგენის, გამოსაკვლევი პირის, უფლებამოსილი პირის ხელმოწერა;
- ბიოლოგიური მასალის შენახვის ვადა;
- სხვა მონაცემები - წარმომდგენის ან გამოსაკვლევი პირის მიერ გამოთქმული
შენიშვნა.

შემოწმების ცნობა № - - - -

შემოწმებული პირის სახელი, გვარი, მამის სახელი _____

ჩატარებული კვლევა (კლინიკურ-ლაბორატორიული ან/და ლაბორატორიული) _____

გამოკვლევის შედეგი შემსრულებლის ან შემსრულებლების ხელმოწერით _____

შეესების თარიღი _____

გაცემის თარიღი _____

წარმომდგენის სახელი, გვარი, სამსახურეობრივი მოწმობის ნომერი _____

დანართი 9

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №307/6

ჯანმრთელობის მდგომარეობის სავალდებულო პერიოდული შემოწმების შესახებ
ებრძანება:

1. დამტკიცდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის სავალდებულო პერიოდული შემოწმების წესი.
2. დამტკიცდეს იმ პირთა და იმ საქმიანობათა ნუსხა, რომელთა შემსრულებლები ექვემდებარებიან ჯანმრთელობის მდგომარეობის სავალდებულო პერიოდულ შემოწმებას.
3. დამტკიცდეს დაავადებათა და ფიზიკურ ანომალიათა ჩამონათვალი, რომელთა არსებობაც უკუნაჩვენებია ამ ბრძანების მე-2 დანართით განსაზღვრული საქმიანობების დროს.
6. ქვეყანაში მოქმედმა ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური პროფილის დაწესებულებებმა საჭირო შემთხვევებში გამოსაკვლევე პირებს ჩაუტარონ აუცილებელი გამოკვლევა და გასცენ შესაბამისი დასკვნა დასასაქმებელთა და დასაქმებულთა შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

იმ პირთა და იმ საქმიანობათა ნუსხა, რომელთა შემსრულებლები ექვემდებარებიან ჯანმრთელობის მდგომარეობის სავალდებულო პერიოდულ შემოწმებას

1. ნავთობისა და აირის მოპოვება-გადამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობა.
2. მაღალი ძაბვის ელექტროსახეობის და ელექტროდანადგარების მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობა.
3. მაღლივი ან სიმაღლეზე ასვლასთან დაკავშირებული სამუშაოები, ამვე მოწმობილობების მომსახურება.
4. საავიაციო, მცურავ, სარკინიგზო და მეტროპოლიტენის ტრანსპორტთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ტრანსპორტის მართვასთან და მოძრაობის უსაფრთხოებასთან.
5. სატრანსპორტო საშუალებათა (A,B,C,D,E) მართვის უფლების მაძიებელი ან/და მფლობელი პირი.
6. ყველა სახის მიწისქვეშა სამუშაოთა წარმოება.
7. ყველა სახის წყალქვეშა საქმიანობის წარმოება.
8. საქართველოს კანონით “იარაღის შესახებ” განსაზღვრული ნებისმიერი სახის იარაღის ტარების და შენახვის ნებართვის მაძიებელი ან/და მფლობელი პირი.
9. ყველა სახის სამაშველო საქმიანობა.
10. რადიაქტიურ ნივთიერებებთან, აგრესიულ სითხეებთან, მაიონიზებული გამოსხივებისა და ელექტრომაგნიტური ველის წყაროებთან დაკავშირებული საქმიანობა.
11. III და IV რისკ-ჯგუფის პათოგენურ ბიოლოგიურ აგენტებთან მომუშავე პერსონალი.
12. ყველა სახის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა.

**საქართველოს კანონი
საექიმო საქმიანობის შესახებ**

მუხლი 48. ინფორმაციის კონფიდენციალობა

1. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაიცვას პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა როგორც საექიმო საქმიანობის განხორციელებისას, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ, როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ.
2. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს გაამჟღავნოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პირადი ცხოვრების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია, თუ:
 - ა) პაციენტი აძლევს ინფორმაციის გამჟღავნების უფლებას;
 - ბ) ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა საფრთხეს უქმნის მესამე პირის (რომლის ვინაობაც ცნობილია) ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს;
 - გ) თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი სავალდებულო აღრიცხვას დაქვემდებარებულ დაავადებაზე;
 - დ) ინფორმაცია მიეწოდება სამედიცინო მომსახურების მონაწილე სხვა სამედიცინო პერსონალს;
 - ე) ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისათვის;
 - ვ) ინფორმაციის გამჟღავნებას, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მოითხოვენ სამართალდამცველი ორგანოები;
 - ზ) ინფორმაცია მიეწოდება სახელმწიფო ორგანოებს პაციენტისათვის სოციალური შედავათების დაწესების მიზნით. ამ შემთხვევაში აუცილებელია ინფორმაციის გამჟღავნებაზე პაციენტის თანხმობა;
 - თ) სასწავლო-სამეცნიერო მიზნით ინფორმაციის გამოყენებისას მონაცემები ისეა წარმოდგენილი, რომ შეუძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია.

**საქართველოს კანონი
ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ**

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ნარკომანიის გავრცელების თავიდან აცილებას, კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების დაცვას ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელთა და ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობთა ხელყოფისაგან, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და გავრცელების პრევენციას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- ამ კანონის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
- ა) ნარკოტიკული დანაშაული – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით გათვალისწინებული დანაშაული.
 - ბ) ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი – პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული;
 - გ) ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობი – პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადასტურებულია ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზანი), 261-ე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადასტურებულია ფსიქოტროპული ნივთიერების გასაღების

მიზანი), 262-ე, 263-ე, 264-ე, 265-ე, 266-ე, 267-ე, 268-ე, 271-ე ან 272-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული;

- დ) ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელი – პირი რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე (თუ დადასტურებულია ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზანი) ან 261-ე (თუ დადასტურებულია ფსიქოტროპული ნივთიერების გასაღების მიზანი) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული;
- ე) ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობი - ფიზიკური ან იურიდიული პირი ან პირთა ჯგუფი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით (თუ დადასტურებულია ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზანი) ან 261-ე მუხლის მე-4 ნაწილით (თუ დადასტურებულია ფსიქოტროპული ნივთიერების გასაღების მიზანი) გათვალისწინებული დანაშაული, ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით გათვალისწინებული სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

მუხლი 3. უფლების ჩამორთმევა

1. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს 3 წლის ვადით ჩამოერთმევა:
 - ა) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;
 - ბ) საექიმო საქმიანობის უფლება;
 - გ) საადვოკატო საქმიანობის უფლება;
 - დ) პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება;
 - ე) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება;
 - ვ) პასიური საარჩევნო უფლება;
 - ზ) იარაღის დამზადების, შექენის, შენახვის და ტარების უფლება.
2. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები ჩამოერთმევა 5 წლის ვადით.
